შეფასების საბოლოო ანგარიში

საქართველოს 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

მომზადებულია ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ

2018 წელი

სარჩევი

რეზიუმე 3

მეთოდოლოგია 5

პრიორიტეტი I. კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია 6

პრიორიტეტი II. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია 11

პრიორიტეტი III. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. 14

პრიორიტეტი IV. განათლება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით 17

პრიორიტეტი V. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში 19

პრიორიტეტი VI. კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში 24

პრიორიტეტი VII. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში 29

პრიორიტეტი VIII. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში 39

პრიორიტეტი IX. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით 44

პრიორიტეტი X. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში 50

პრიორიტეტი XI. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია 53

პრიორიტეტი XII. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში 56

პრიორიტეტი XIII. კორუფციის პრევენცია მარეგულირებელ ორგანოებში 62

პრიორიტეტი XIV. კორუფციის პრევენცია სპორტის სფეროში 65

პრიორიტეტი XV. კორუფციის პრევენცია ინფრასტრუქტურულ პროექტებში 67

პრიორიტეტი XVI. კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში 69

II. კორუფციის კრიმინალიზაცია, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა 72

დანართი 1: რეკომენდაციები: 76

რეზიუმე

შეფასების ანგარიშში ასახულია 16 სტრატეგიული პრიორიტეტის შესაბამისად სტრატეგიით განსაზღვრული ზოგადი მიზნების შესრულების **შედეგები** და მათთან დაკავშირებით **გამოწვევები,** ასევე მოცემულია ინფორმაცია კორუფციის კრიმინალიზაციასა და ამ მიმართულებით მიღწეულ შედეგებზე.

საქართველოს 2017-2018 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების (2018 წლის 12 თვის მონაცემები) შედეგად დასტურდება, რომ სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებაში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პროგრესი მიღწეული აქვს - მათ შორისაა უშუალოდ **ანტიკორუფციული საბჭოსა და სამდივნოს გაძლიერება,** ასევე **საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის** მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და **ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში** აქტიური კოორდინაცია და სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა **სამართალდამცავ ორგანოებში** კორუფციის პრევენციის მიმართულებით; განსაკუთრებით საყურადღებოა პროკურორების შეფასების სისტემის დანერგვა, ასევე პროკურორთა ახალი ეთიკის კოდექსის შემუშავება. საჯარო ფინანსებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროებში პროგრესი თვალშისაცემია, თუმცა, მნიშვნელოვანია დაწყებული პროცესები განხორციელდეს სრულად და მიღწეულ იქნეს გეგმით დასახული შედეგები.

გამოწვევად რჩება **საზოგადოების ცნობიერების ამაღლება** კორუფციის პრევენციის მიზნით, ასევე, კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სიტემაში, **მოსამართლეთა დისციპლინური პასუხიმგებლობის** ობიექტური, გამჭვირვალე პრინციპების დანერგვის სახით. საანგარიშო პერიოდში ასევე ვერ შემუშავდა **სამოსამართლო ეთიკის კოდექსის** პროექტი და **კონფიდენციალური საკონსულტაციო მექანიზმის** შესახებ კონცეფცია. მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მომზადებისა და მისი გადაწყვეტილებების** დასაბუთებულობის უზრუნველყოფის კუთხით.

შეფასების შედეგები ცხადჰყოფს, რომ ***აქტიური მუშაობაა საჭირო კერძო სექტორთან მიმართებაში კორუფციის პრევენციის კუთხით***.

მარეგულირებელი ორგანოების გამჭვირვალობისათვის აუცილებელია პასუხიმგებელი უწყებების მხრიდან გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები და სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდეს.

კორუფციის პრევენცია **ინფრასტრუქტურულ პროექტებში** წარმოადგენს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ ახალ პრიორიტეტს, რომელიც მართალია განვითარდა მიმდინარე სამოქმედო გეგმის ფარგლებში, თუმცა, მნიშვნელოვანია, ღონისძიებები რომელიც მხოლოდ დაწყებულია, დასრულდეს გეგმის მოქმედების ფარგლებში. საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების და მისი საზოგადოებისათვის

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი ყურადსაღები ვალდებულებაა, რომელიც აგრეთვე მიმდებარე პროცესია და ამ ეტაპზე პროგრამის მხოლოდ პროექტია შემუშავებული.

მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში არ არის ერთგვაროვანი მიდგომა, ზოგი მათგანი აჩვენებს პროგრესს საანგარიშო პერიოდში, თუმცა ღონისძიებების სრული შესრულება ყველგან სახეზე არ არის.

რაც შეეხება **კორუფციის კრიმინალიზაციის** სტრატეგიით გათვალისწინებულ პრიორიტეტს, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიმართულებით სასურველია, 2018 წლისთვის დაგეგმილი აქტივობების შესრულების მიზნით აქტიური მუშაობა, რათა სრულად იქნეს სტრატეგიით გათვალისწინებული მიზანი.

შეფასების ანგარიში ასახავს 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში გათვალისწინებული შედეგების ინდიკატორების შესრულების 2018 წლის მდგომარეობით.

საერთო ჯამში, შეფასდა 118 ინდიკატორი. შეფასების ბოლოს გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

1. სრულად შესრულებულია 63 ინდიკატორი

2. ნაწილობრივ შესრულებულია 30 ინდიკატორი

3. არ შესრულდა 25 ინდიკატორი

ინდიკატორების შესრულების საერთო სტატისტიკა:



მეთოდოლოგია

შეფასების ანგარიშის მიზანია შეაფასოს 2017-2018 წლის ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ინდიკატორების შესრულების ხარისხი 2018 წლის მდგომარეობით და 2017-2018 წლების მიღწევების განსაზღვრა, რაც ემსახურება ანტიკორუფციული სტრატეგიის ამოცანებისა და ძირითადი გამოწვევების გამოვლენას. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ თითოეული შედეგის ინდიკატორი გაწერილია ორი წლის მანძილზე (2017 და 2018 წლებზე), ამასთან ინდიკატორების ნაწილი 2017 წლის ბოლოს უკვე შეფასდა. წინამდებარე ანგარიში აფასებს 2017 და 2018 წლების მონაცემებს ერთობლივად.

შეფასების ანგარიში მომზადდა „პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოზე“ დაყრდნობით.

ცხრილი 1:

შეფასების მიზანი	2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის **2017 და 2018 წლების** ინდიკატორების შესრულების შეფასება და მიღწეული შედეგების, გამოწვევებისა და რეკომენდაციების განსაზღვრა.
შეფასების მეთოდი	რაოდენობრივი და ხარისხობრივი
შეფასების პერიოდი	Ex-post
შეფასებაში განმახორციელებელი ორგანო	შეფასების განმახორციელებელი ძირითადი ორგანოა ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო- იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი, თუმცა შეფასებაში ჩართული არიან ანტიკორუფციული საბჭოს წევრები: საჯარო სტრუქტურები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი.
შეფასების შედეგი	შეფასების შედეგების გათვალისწინება მოხდება ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (2019-2020) პრიორიტეტებისა და ამოცანების განსაზღვრა.

შეფასების მომზადებისას გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები:

- 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით პასუხისმგებელი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია (სტატისტიკა; დოკუმენტები);
- ინფორმაციის ანალიზი ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ
- სატელეფონო კონსულტაციები პასუხისმგებელ უწყებებთან
- შეხვედრები ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფებთან
- ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჩარჩოსა და მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების შემუშავება.

ცხრილი 2: შეფასების ძირითადი ეტაპები



შეფასების ანგარიში ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით განხორციელებულ აქტივობებსა და გაწერილ ინდიკატორებს შესაბამის ამოცანასთან და შედეგთან მიმართებით აფასებს ეფექტურობისა და განხორციელების პარამეტრებით.

განხორციელების პარამეტრი პასუხობს შემდეგ კითხვას:

- რამდენად ემსახურება სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები დასახული ამოცანებისა და შედეგის მიღწევას?
- რამდენად ხერხდება სტრატეგიაში დასახული ამოცანების მიღწევა განხორციელებისას გამოყენებული მეთოდებით, პროგრამებითა და აქტივობებით?

ეფექტურობის პარამეტრი პასუხობს შემდეგ კითხვებს:

- რამდენად ეფექტურია განხორციელებული აქტივობები ამოცანის მიღწევისთვის?
- რამდენად ეფექტურია მიღწეული შედეგები პრიორიტეტით დასახული მიზნის მისაღწევად?
- რამდენად მიიღწევა სინერგია სტრატეგიაში ასახული სხვადასხვა მიმართულებით განსახორციელებელ საქმიანობებს შორის, სტრატეგიის საბოლოო მიზნის მისაღწევად?

პრიორიტეტი I. კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია

შედეგი 1.1 ინსტიტუციურად გაძლიერებული ანტიკორუფციული საბჭო

ინდიკატორი 1: ანტიკორუფციულ საბჭოში დასაქმებულია სულ მცირე შვიდი თანამშრომელი, რომელთა სამუშაო აღწერილობების ძირითად ნაწილს ანტიკორუფციული თემატიკა წარმოადგენს.

აღნიშნული ინდიკატორი გულისხმობს ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს (ანალიტიკური დეპარტამენტის) თანამშრომლების ძირითადი ნაწილის (სულ მცირე შვიდი ადამიანის) ორიენტირებას ანტიკორუფციულ თემატიკაზე. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს 10-ს, საიდანაც ანტიკორუფციული მიმართულებით მუშაობს რვა თანამშრომელი. ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომელთა 70%-ზე მეტი მუშაობს ანტიკორუფციული მიმართულებით, მათ შორის რამდენიმე მათგანი მხოლოდ ანტიკორუფციულ თემატიკაშია

ჩართული. ამასთან, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები ანტიკორუფციულ თემატიკასა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის შესახებ. მათ შორის იყო, „ანტიკორუფციული კონცეფციების შესახებ ტრენინგი“, რომელიც ორგანიზებული იყო ევროსაბჭოს ოფისის მიერ და მასპინძლობდა ევროსაბჭოს ანტიკორუფციულ ექსპერტებს. აღნიშნული ტრენინგი დაეთმო რისკების შეფასების ტექნიკის შესწავლას, რაც საფუძვლად დაედო ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ ანტიკორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე მუშაობის დაწყებას. ანტიკორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგია მნიშვნელოვნად შეცვლის ანტიკორუფციული პოლიტიკის ამოცანების განსაზღვრის პროცესს და მას გახდის გაცილებით ეფექტურს. ევროსაბჭოს ოფისის მიერ ჩატარებულ ტრენინგზე ესწრებოდა სამდივნოს 9 თანამშრომელი.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.

ინდიკატორი 2: კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგია წარდგენილია ანტიკორუფციულ საბჭოზე განსახილველად; ჩატარდა სულ მცირე საბჭოს ოთხი სხდომა და სამუშაო ჯგუფის ათი შეხვედრა.

კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება სამოქმედო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 2018 წლის განმავლობაში, შესაბამისად ინდიკატორის აღნიშნული ნაწილი 2017 წლის ფარგლებში არ ფასდება. 2017 წლის განმავლობაში ჩატარდა ანტიკორუფციული საბჭოს ერთი და სამუშაო ჯგუფის ხუთი შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრების გამართვა განპირობებულია არსებული საჭიროებით. შესაბამისად, ის ფაქტი 2017-2018 წლებში არ ჩატარებულა ათი შეხვედრა, როგორც ეს ინდიკატორშია მითითებული საერთო პროცესს არ აზარალებს.

ინდიკატორი ნაწილობრივაა შესრულებული.

შედეგი 1.2. ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების გადასინჯვის პროცესი ინკლუზიური, ხოლო შესრულების მონიტორინგი - ეფექტიანია

ინდიკატორი 1: ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განახლებულია საზოგადოების და ბიზნეს სექტორის მონაწილოების შედეგად.

2017 წლის ბოლოს განახლდა ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა და შესაბამისად განახლდა ანტიკორუფციული სტრატეგიის ამოცანები. პროცესი მიმდინარეობდა ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფთან შეხვედრების საფუძველზე, საჯარო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორის ჩართულობით.

ინდიკატორი შესრულებულია სრულად.

ინდიკატორი 2: ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება საზოგადოების და ბიზნეს სექტორის მონაწილოების შედეგად, გამართულია სულ მცირე საბჭოს ოთხი სხდომა და სამუშაო ჯგუფის ათი შეხვედრა.

საქართველოს, მიერ მიღწეული წარმატებები ანტიკორუფციული მიმართულებით მუდამ დაინტერესების საგანია. შესაბამისად, საქართველოში არსებული ანტიკორუფციული ორგანოების, ანტიკორუფციული პოლიტიკისა და საუკეთესო გამოცდილების საერთაშორისო დონეზე ცნობადობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია მუდმივ რეჟიმში ახლდებოდეს ***ინფორმაცია საინფორმაციო გაზეებზე,*** შესაბამის ვებგვერდებზე. მნიშვნელოვანია გაიზარდოს ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფის შეკრებების ინტენსივობა. 2017-2018 წლების განმავლობაში სამუშაო ჯგუფი სულ ხუთჯერ შეიკრიბა.[1] ხოლო რაც შეეხება მონიტორინგის პროცესს, მასში მეთოდოლოგიის შესაბამისად ***მონაწილეობდა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები***, რომელთაც ადეკვატური ვადები განესაზღვრათ ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

შედეგი 1.3. საჯარო მოხელეთა კვალიფიკაცია ამაღლებულია ანტიკორუფციულ საკითხებში

ინდიკატორი 1: 150 სახელმწიფო მოსამსახურეს ჩაუტარდა სულ მცირე 15 ტრენინგი ტრენინგ-კურსის ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში სრულად ვერ მოხერხდა ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევის სრულად შესრულება, როგორიცაა ტრენინგ-კურსის კურიკულუმის საფუძველზე სახელმწიფო მოსამსახურეთა ტრენინგების ორგანიზება. დაგეგმილი ხუთი ტრენინგიდან გაიმართა მხოლოდ სამი, (სულ 48 საჯარო მოხელე), ამასთან ჩატარებული ტრენინგები არ მოიცავდა ტრენინგ-კურსის კურიკულუმით გათვალისწინებულ ყველა საკითხს.

შესაბამისად დატრენინგდა საჯარო მოხელეთა მხოლოდ 32% და *ინდიკატორი შესრულდა ნაწილობრივ.*

ინდიკატორი 2: მონიტორინგისა და ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტის განახლების პროცესი ზუსტი და ნათელია ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის.

ანტიკორუფციული საბჭოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრების დროს, პერიოდულად ხდება საბჭოს სამდივნოს მიერ სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისა და მონიტორინგის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ასევე სამდივნო მუდმივად ეკონტაქტება უწყებებს როგორც დოკუმენტების შემუშავებისას ასევე მონიტორინგის ეტაპზე პროგრესის ანგარიშის მიწოდებისას.

ინდიკატორი შესრულდა სრულად.

[1] 2017 წლის 17 იანვარი, 15 მარტი, 28 მარტი და 20 აპრილს.

ინდიკატორი 3: ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტები წყაროებად იყენებს საერთაშორისო ორგანიზაციების და აღიარებული არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს, მათ შორის სოციოლოგიურ რეიტინგებსა და საქართველოს შეფასების ანგარიშებს

ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმით (2017-2018) გათვალისწინებული ვალდებულებები ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზს, მათ შორის, ინდიკატორებში გამოყენებულია ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფისა (GRECO) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) რეკომენდაციების იმპლემენტაცია. ორივე ორგანიზაციის რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა სამოქმედო გეგმაში ღონისძიებების სახით იქნა გადმოტანილი. სამოქმედო გეგმის მომზადების დროს სამდივნო აგრეთვე ეყრდნობა ანტიკორუფციულ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებს (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, IDFI და ა.შ. (მაგ მე-12 პრიორიტეტის ერთ-ერთი ინდიკატორია *სამოქალაქო სექტორის შეფასებები სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ*)), 2016 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ლონდონის სამიტზე აღებულ ვალდებულებებს, სოციოლოგიურ რეიტინგებს, პასუხისმგებელი უწყებების მიერ გაჟღერებულ გამოწვევებს და სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკას.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შედეგი 1.4 კორუფციის პრევენციის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობა გაძლიერებულია და ხდება რეკომენდაციების იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

ინდიკატორი 1: საერთაშორისო ორგანიზაციების (GRECO, OECD-ACN) პოზიტიური შეფასებები; კორუფციის პრევენციის განმახორციელებელ ორგანოებთან საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა გაძლიერებულია.

2018 წლის დეკემბერში იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა და GRECO-ს წარუდგინა მეოთხე რაუნდში მიღებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ პირველი სიტუაციური ანგარიში, რომლის საფუძველზე GRECO-ს სამდივნო მოამზადებს შესაბამისობის ანგარიშს. ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის მომზადების დროს GRECO-ს მიერ შესაბამისობის ანგარიშის მომზადება და განხილვა დაგეგმილი იყო 2018 წლის დეკემბერში, თუმცა ევროსაბჭოში არსებული ფინანსური კრიზისის გამო GRECO-ს წლიური პლენარული სხდომების რაოდენობა შემცირდა და საქართველოს ანგარიშის მომზადება და განახლება 2019 წლის გაზაფხულისთვის გადაიდო. რაც შეეხება GRECO-ს მესამე რაუნდის რეკომენდაციებს, საქართველოს არცერთი რეკომენდაცია არ აქვს სტატუსით „შეუსრულებელი“. მესამე რაუნდი საქართველომ წარმატებით დაასრულა 2017 წელს. რაც შეეხება OECD-ACN-ის რეკომენდაციებს, საქართველოს მიმართ ამჟამად შეფასების მეოთხე რაუნდი მიმდინარეობს,

რომლის ფარგლებში ქვეყანამ შესასრულებლად 22 რეკომენდაცია მიიღო (მესამე რაუნდში მიღებული 15 რეკომენდაციიდან შეუსრულებლად მხოლოდ ერთი რეკომენდაცია ჩაითვალა). რეკომენდაციების შესრულების შესახებ OECD-ACN-ის მიერ საბოლოო ანგარიშის მიღება დაგეგმილია 2019 წლის ბოლოს, ხოლო შუალედური შეფასების მიხედვით, 22 რეკომენდაციიდან 12-ზე პროგრესი დაფიქსირდა (მათ შორის, მნიშვნელოვანი პროგრესი დაფიქსირდა ორ რეკომენდაციაზე).

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორი 2: საბჭო და სამდივნო ეფექტურად თანამშრომლობენ საერთაშორისო პარტნიორებთან სამუშაო შეხვედრებისა თუ ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მუდმივი ურთიერთობა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. 2015 წელს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო ანტიკორუფციული აკადემიის (IACA) საერთაშორისო ორგანიზაციად ჩამოყალიბების შესახებ ხელშეკრულებას, რამაც საქართველოსა და აკადემიას შორის თანამშრომლობა აქტიურ ფაზაში გადაიყვანა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო ანტიკორუფციულ აკადემიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში 2017 წელს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა, როგორც ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა IACA-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს მსოფლიოს 16 ქვეყნიდან უმასპინძლა.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორების შეფასებიდან გამოიკვეთა, რომ ანტიკორუფციული საბჭო წარმატებით ფუნქციონირებს ინტერსექტორული ჩართულობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კუთხით. თუმცა გამოწვევად რჩება ანტიკორუფციული მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა საჯარო უწყებებში. მნიშვნელოვანია რომ ანტიკორუფციული რისკების ფორმალური შეფასება უძღოდეს წინ ანტიკორუფციული ამოცანების განსაზღვრას.



რეკომენდაციები:

1. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ უნდა გააგრძელოს საერთაშორისო საინფორმაციო გაზების მოძიება და მათზე საქართველოში არსებული ანტიკორუფციული ორგანოებისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განახლება.

2. ეფექტიანი პოლიტიკის წარმოების მიზნით მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შემუშავდეს კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგია.

პრიორიტეტი II. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია

შედეგი 2.1. მომზადებულია საჯარო სამსახურში მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების, ანაზღაურებისა და წახალისების ახალი სისტემა

ინდიკატორი 1: ახალი სისტემით შეფასებულ საჯარო მოხელთა რაოდენობა გაზრდილია.

მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლამდე საჯარო სამსახურში შეფასების სისტემის არსებობა სავალდებულო არ იყო და ფრაგმენტულად ხორციელდებოდა, 2018 წლიდან კი პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასება სავალდებულო გახდა ყველა საჯარო დაწესებულებისთვის. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა შედარება ვერ ხერხდება, ცალსახაა, რომ 2018 წელს წინა წლებთან შედარებით მკვეთრად მოიმატებს შეფასებულ თანამშრომელთა რიცხვი.

ინდიკატორი შესრულდა სრულად.

ინდიკატორი 2: მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულება საჯარო სამსახურის მიმართ გაზრდილია

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კიდევ ერთი ინდიკატორი გულისხმობს **მოსახლეობის პოზიტიური დამოკიდებულების გაზრდას საჯარო სამსახურის მიმართ.** 2018 წლის ბოლოს საჯარო სამსახურის ბიუროს დაგეგმილი აქვს საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მოსახლეობის დამოკიდებულების კვლევა. ამ მიზნით, ბიურო მუშაობს კითხვარზე. რამდენადაც ასეთი კვლევა ჯერ ჩატარებული არ არის, ამ ინდიკატორზე დაყრდნობით შედეგის გაზომვა ვერ მოხდება.

შესაბამისად არსებული მონაცემებით ინდიკატორი შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

შედეგი 2.2. საჯარო მოხელეთა ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი მექანიზმები დახვეწილია

ინდიკატორი 1: საჯარო მოხელეთა მიერ ეთიკის პრინციპების, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმების დარღვევის გამოვლენის მაჩვენებელი გაზრდილია.

ეთიკის ნორმების ეფექტიანი იმპლემენტაციის გაზომვისთვის სამოქმედო გეგმა ინდიკატორად ითვალისწინებს **საჯარო მოხელეთა მიერ ეთიკის პრინციპების, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმების დარღვევის გამოვლენის მაჩვენებლის გაზრდას.** სამწუხაროდ, საჯარო სამსახურის ბიუროს ამ ეტაპზე არ აქვს 2018 წლის მონაცემები, რომ მოხდეს წინა წლებთან შედარება, შესაბამისად შედეგი ვერც ამ ინდიკატორის საფუძველზე გაიზომება.

ინდიკატორი არ შესრულდა.

ინდიკატორი 2: საჯარო სამსახურში ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ ტრენინგების რაოდენობა გაზრდილია და ტრენინგში მონაწილე საჯარო მოხელეთა რაოდენობა გაზრდილია; ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის საკითხებში ერთიანი ტრენინგ მოდულის შესაბამისად თანამდებობის პირთა ტრენინგის და მონაწილეთა რაოდენობა გაზრდილია.

ეთიკის ნორმების ეფექტიანი იმპლემენტაციის კიდევ ერთ ინდიკატორს წარმოადგენს **საჯარო სამსახურში ეთიკის ნორმების დაცვის შესახებ ტრენინგების და ტრენინგში მონაწილე საჯარო მოხელეთა რაოდენობის გაზრდა.** 2017 წელს აღნიშნული ტრენინგების რაოდენობა 2016 წელთან შედარებით არ გაზრდილა. კერძოდ, 2016 წლის განმავლობაში ეთიკისა და ქცევის წესების შესახებ ტრენინგები ჩაუტარდა 572 საჯარო მოხელეს. 2018 წლის განმავლობაში ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ჩაუტარდა 120 საჯარო მოხელეს, წლის ბოლოსთვის აღნიშნული ციფრი 260-ს მიაღწევს. ცალსახაა, რომ 2016 წლის შემდეგ ეთიკის და ქცევის წესების შესახებ ტრენინგების და მონაწილეების რაოდენობა არათუ გაიზარდა, არამედ

შემცირდა. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ტრენინგები სისტემატურად ტარდებოდეს და უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჯარო მოხელის მონაწილეობა. ასევე რაც შეეხება თანამდებობის პირების დატრენინგებას, სამწუხაროდ, პასუხისმგებელი უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან არ ირკვევა, რამდენი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი მონაწილეობდა ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით ჩატარებულ ტრენინგებში, შესაბამისად, ამ ინდიკატორის საფუძველზე შედეგის გაზომვა ვერ ხერხდება.

ინდიკატორი არ შესრულდა.

2.3. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროს როლი გაზრდილია

ინდიკატორი 1: თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად შემოწმებული ქონებრივი დეკლარაციების რაოდენობა გაზრდილია.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა უნდა დასტურდებოდეს **თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის შედეგად შემოწმებული ქონებრივი დეკლარაციების რაოდენობის გაზრდით.** 2017 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ჯამში მონიტორინგი ჩაუტარდა 287 დეკლარაციას, აქედან 284 იყო შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შერჩეული და სამი - დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. 2018 წელს შესამოწმებელი დეკლარაციების საერთო რაოდენობა 450 დეკლარაციას შეადგენს. რამდენადაც მონიტორინგის სისტემა 2017 წელს დაიგეგმა, ბოლო ორი წლის მონაცემების გასულ წლებთან შედარება ვერ ხერხდება. თუმცა, ცალსახაა, რომ 2018 წელს შესამოწმებელი დეკლარაციების რიცხვი წინა წელთან შედარებით გაიზარდა, რაც შედეგის მიღწევაზე მიუთითებს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შეფასებამ გამოავლინა რომ არ განხორციელებულა საჯარო მოხელეთა მიერ ეთიკის პრინციპებისა და ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმების დარღვევის გამოვლენის მაჩვენებლის შესწავლა და შეფასება რაც ხელს შეუწყობს

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად პასუხისმგებელმა უწყებამ აგრეთვე უნდა უზრუნველყოს განსახორციელებელი ღონისძიებების დროულად შესრულება, კერძოდ, საჯარო მოხელეთა, მათ შორის, ხელმძღვანელი თანამდებობის პირების ცნობიერების ამაღლება ეთიკის ნორმებთან დაკავშირებით (სისტემური და თანმიმდევრული ტრენინგები და სხვა ღონისძიებები).



რეკომენდაციები:

1. მომდევნო წლებში მნიშვნელოვანია, საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს საჯარო სტრუქტურებში ცნობიერების ამაღლება არა მხოლოდ ანტიკორუფციულ, არამედ ასევე კეთილსინდისიერების სტანდარტებთან დაკავშირებით.

2. რეკომენდებულია, საჯარო სამსახურის ბიურომ ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით განახორციელოს საჯარო მოხელეთა დატრენინგება მუნიციპალიტეტების დონეზე.

პრიორიტეტი III. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.

შედეგი 3.1. ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა გადასინჯულია და ეფექტიანად სრულდება

ინდიკატორი 1: ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობა გადასინჯულია.

ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში იუსტიციის სამინისტრომ განახორციელა ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწავლა და გადასინჯვა.

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონპროექტი ერთობლივად შემუშავდა და იუსტიციის თანამშრომლებისა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ დაქირავებული სამართლის ექსპერტების მიერ. კანონპროექტმა გაიარა საერთაშორისო ექსპერტიზა და ასევე განხილულ იქნა ფოკუს ჯგუფების მიერ, კერძოდ მოსამართლეების,

ჟურნალისტების, აკადემიის წარმომადგენლებისა და ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მიერ.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორი 2: ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონის პროექტი. ამ ეტაპისთვის იუსტიციის სამინიტრო მუშაობს საბოლოო ტექსტზე, საჯარო სექტორთან კონსულტაციების ფართომასშტაბიანი პროცესი დასრულებულია და კანონპროექტი მთავრობას წარედგინება უხლოეს მომავალში და განხილვების შემდეგ წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ინდიკატორი შესაძლოა ნაწილობრივ შესრულებულად ჩავთვალოთ, ვინაიდან კანონპროექტი ჯერ არ გადაგზავნილა პარლამენტში.

ინდიკატორი 3: ინფორმაციას მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი გაზრდილია.

ანტიკორუფციულმა საბჭოს სამდივნომ დაამუშავა საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი მონაცემები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ, შეადგინა მეთოდოლოგია და შესაბამისად დაითვალა მონაცემები.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შედეგი 3.2. ღია მმართველობის პარტნიორობის ეფექტიანი კოორდინაცია ეროვნულ დონეზე და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფილია

ინდიკატორი 1: სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების ანგარიში წარდგენილია ანტიკორუფციული საბჭოსთვის და გამოქვეყნებულია;

ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შედეგი, რაც გულისხმობს ღია მმართველობის პარტნიორობის ეფექტიან კოორდინაციას ეროვნულ დონეზე და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის უზრუნველყოფას, შესრულებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან სამოქმედო გეგმის შესრულების თვითშეფასების ანგარიში წარდგენილია ანტიკორუფციული საბჭოსთვის და გამოქვეყნებულია. 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსია გაგზავნილია ფორუმისთვის და ხელმისაწვდომია მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. დოკუმენტის ანტიკორუფციული საბჭოსთვის წარდგენა მოხდება 2018 წლის 28 დეკემბრის სხდომაზე.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.

ინდიკატორი 2: ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის შეხვედრების რაოდენობა.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის შეხვედრების რაოდენობა - ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო ფორუმის სულ მცირე რვა შეხვედრის ორგანიზება 2018 წლის განმავლობაში, თუმცა, გაიმართა თორმეტი სამუშაო შეხვედრა. დაგეგმილზე მეტი შეხვედრა გაიმართა 2017 წელსაც.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.

ეფექტურობისა და განხორციელების პარამეტრების გათვალისწინებით, აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები და შესაბამისი ამოცანები ემსახურებოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. განსაზღვრულმა აქტივობებმა განაპირობა ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის გადასინჯვის ეფექტურობა, რისი მაჩვენებელიცაა იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონი, რომელიც სამომავლოდ უნდა წარედგინოს პარლამენტს იმისათვის, რომ განხორციელდეს პრიორიტეტის ფარგლებში დასახული მთავარი მიზანი. კორუფციის პრევენციისა და კარგი მმართველობის სფეროში მოქალაქეთა ეფექტური ჩართულობა უზრუნველყოფილ იქნა სამოქალაქო საზოგადების ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მუშაობაში ჩართულობით, რის საფუძველზეც მომზადდა 2016-2017 წლების თვითშეფასების ანგარიში და 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნულმა პროცესებმა უზრუნველყო მოქალაქეების უშუალო დაკვირვების შესაძლებლობა ქვეყნის მთავრი რეფორმების მონიტორინგისა და დაგეგმვის ნაწილში. აქედან გამომდინარე, 2017-2018 წლებში განსაზღვრულმა აქტივობებმა განაპირობა დასახული ამოცანის მიღწევის ეფექტურობა, რაც თავის მხრივ ემსახურებოდა პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრული მთავარი ამოცანის მიღწევას-მოქალაქეთა ჩართულობის გაუმჯობესებას.



რეკომენდაციები:

1. ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის მთავრობისთვის წარდგენა;

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლება და საკოორდინაციო მექანიზმის განვითარება.

პრიორიტეტი IV. განათლება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით

შედეგი 4.1. კორუფციასთან ბრძოლაში მიღწეული შედეგებისა და არსებული გამოწვევების შესახებ საზოგადოება ინფორმირებულია

ინდიკატორი 1: სტატისტიკური ინფორმაციისა და ანტიკორუფციულ თემატიკაზე მომზადებული ხელმისაწვდომი კვლევების რაოდენობა გაზრდილია.

აღნიშნული ინდიკატორის შესრულების მიზნით, ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ USAID GGI-ს პროექტისა EaP რეგიონული პროექტის დახმარებით მოამზადა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის სამუშაო ვერსია. ამასთან ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ 2017 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადა ანტიკორუფციულ თემატიკაზე მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტები, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას ანტიკორუფციული ღონისძიებების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში სამდივნომ მოამზადა ერთი ინდექსის ანალიზი (კორუფციის აღქმის ინდექსი 2017) და ერთი შედარებით-სამართლებრივი კვლევა შიდა მოხმარების მიზნით საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ლიმიტებზე.

შესაბამისად, *ინდიკატორი სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.*

ინდიკატორი 2: 2016 წელთან შედარებით ანტიკორუფციულ საკითხებზე მრგვალი მაგიდების, საჯარო ლექციების, კონკურსებისა და სხვა ღონისძიებების რაოდენობა გაზრდილია, მონაწილეთა რაოდენობა გაზრდილია;

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ ანტიკორუფციულ საკითხებში მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით საინფორმაციო კამპანის გეგმა მოამზადა. გეგმა ამ ეტაპზე მხოლოდ პირველადი პროექტის სახით არსებობს. არსებული რესურსებიდან გამომდინარე განისაზღვრა შეხვედრების სავარაუდო მდებარეობა - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სერვისების განვითარების ცენტრის ბაზაზე არსებული საზოგადოებრივი ცენტრები და

USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრები. სამომავლოდ მოხდება გეგმის დეტალურად განსაზღვრა, დონორებთან მოლაპარაკებების გამართვა და შესაბამისად რეგიონების იდენტიფიცირება და სხვა პროცედურული საკითხების დაგეგმვა.

შესაბამისად, *ინდიკატორი ნაწილობრივაა შესრულებული.*

შედეგი 4.2. საზოგადოება ინფორმირებულია ანტიკორუფციული საბჭოსა და ანტიკორუფციული კუთხით მიმდინარე სიახლეების შესახებ

ინდიკატორი 1: ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია; საბჭოს სამდივნოს მიერ მომზადებული ყველა ანალიტიკური დოკუმენტი მათ შორის სამართლებრივი კვლევები, საერთაშორისო რეიტინგებისა და რეკომენდაციების, საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი ხელმისაწვდომია იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ანტიკორუფციული საბჭოს ბანერის ქვეშ.; ანტიკორუფციული საბჭოსა და სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია რეგულარულად ახლდება, საინფორმაციო ფლაერები სამუშაო შეხვედრებისა და ვიზიტების დროს გადაეცემათ დაინტერესებულ მხარეებს.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ ანტიკორუფციული დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია მუდმივად ახლდება იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია ანტიკორუფციული დოკუმენტები: ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები, შეფასების მეთოდოლოგია და დეტალური ინფორმაცია საბჭოს საქმიანობის შესახებ.[2] ამასთან ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ მოამზადა კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) ანალიზი და რისკების შეფასების მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია. ასევე, ინდიკატორის შესრულების მიზნით, სამდივნომ შიდა მოხმარების მიზნით მოამზადა შედარებით-სამართლებრივი კვლევა საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების ლიმიტებზე. კვლევაში აღწერილია, როგორ რეგულირდება აღნიშნული საკითხი სხვა სამართლებრივ სისტემებში - თერთმეტი სახელმწიფოს მაგალითზე. კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონპროექტის შემუშავების მიზნებისთვის. აღსანიშნავია, რომ არ შექმნილა ანტიკორუფციული საბჭოს ბანერი, რაც მიუთითებს ინდიკატორის *ნაწილობრივ შესრულებაზე.*

შედეგად, მე-4 პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული სამი ინდიკატორიდან სრულად განხორციელდა ერთი, ხოლო ნაწილობრივ-ორი ინდიკატორი.

[2] http://www.justice.gov.ge/Ministry/Index/170

განხორციელებისა და ეფექტურობის პარამეტრებზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ კორუფციის პრევენციის პროცესში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განსაზღვრული ძირითადი ამოცანები და შესაბამისი აქტივობები მოიცავდა ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს როლის გაზრდას საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ნაწილში საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზების, სტრატეგიული დოკუმენტებისა და ანგარიშების პროაქტიული გამოქვეყნების მეშვეობით, რაც საანგარიშო პერიოდში რეგულარულად ხორციელდებოდა. გარდა ამისა, განსაზღვრული აქტივობების ეფექტურობაზე მიანიშნებს ასევე საანგარიშო პერიოდში საინფორმაციო კამპანიის გეგმის შემუშავება, რაც ეტაპობრივად უნდა დაინერგოს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ღონისძიებების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია, მეტი ყურადღება დაეთმოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის შემუშავებასა და დანერგვას, რაც საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას სისტემურ სახეს მისცემს.

მნიშვნელოვანია, დამატებითი ნაბიჯების გადადგმა ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის შესახებ ცნობადობის გაზრდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის მიღებისა და იმპლემენტაციის მეშვეობით.



რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია საბჭომ დაამტკიცოს ანტიკორუფციულ საკითხებზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და დაიგეგმოს სამომავლო ნაბიჯები მისი იმპლემენტაციის მიზნით.

2. მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაციის, საერთაშორისო რეიტინგებისა და რეკომენდაციების, აგრეთვე ანტიკორუფციულ თემატიკაზე მომზადებული ხელმისაწვდომი კვლევების მომზადება და გამოქვეყნება.

პრიორიტეტი V. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში

შედეგი 5.1. პროკურორთა დანიშნვის, დაწინაურების, რანგირების, როტაციის, შეფასების, მონიტორინგისა და გათავისუფლების გამჭვირვალე და ობიექტური მექანიზმი შემუშავებულია; პროკურატურის სისტემაში ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა დანერგილია; რაიონულ პროკურორებსა და მოადგილეებს შორის ფუნქციები გამიჯნულია

ინდიკატორი: პროკურორთა დანიშვნის, დაწინაურების, რანგირების, როტაციის, მონიტორინგის, შეფასების, მონიტორინგისა და გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმები მიღებული და პრაქტიკაში დანერგილია; რაიონულ პროკურორებსა და მოადგილეებს შორის ფუნქციები გამიჯნულია.

ინდიკატორის შესრულების მიზნით 2018 წლის 1 ნახევარში დაიწყო მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც სხვა დანარჩენ საკითხებთან ერთად, აღწერს პროკურორთა დანიშვნისა და დაწინაურების კრიტერიუმებს. აღნიშნული კანონპროექტი უკვე მიიღო საქართველოს პარლამენტმა.

მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს **პროკურორთა პერიოდული შეფასების მექანიზმის დანერგვა**, რაც პროკურატურაში სრულფასოვნად დაინერგა. კერძოდ, პროკურატურაში პროკურორთა შეფასება 2018 წლის დასაწყისიდან მიმნდინარეობს. შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ მომზადდა ანალიზი და სამუშაო ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ იქნა სისტემის ხარვეზები, რის საფუძველზეც განახლდა შეფასების სისტემის დოკუმენტი.[3]

ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის დანერგვის, მისი შემდგომი ანალიზისა და სრულყოფის მიზნით 2018 წლის 26 იანვარს იუსტიციის მინისტრმა დაამტკიცა პროკურატურის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოები, რომელიც საჯარო დოკუმენტია. მუშაკთა წახალისების საკითხები კი გაიწერა პროკურატურის შესახებ კანონში (იხ. მუხლები 21 და 78). აღნიშნულ მუხლებში მოცემულია წახალისების წესი, წახალისების საკითხის განხილვა კოლეგიური ორგანოს მიერ და წახალისების ღონისძიებები. თუმცა, კანონით ფაქტიურად არ შეცვლილა წახალისებასთან დაკავშირებული მოთხოვნები - წახალისების დეტალური კრიტერიუმები კანონში არ არის გაწერილი, რაც GRECO-ს მეოთხე რაუნდის ანგარიშის მოთხოვნას წარმოადგენს. პროკურატურის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები სიღრმისეულად არ არეგულირებს დანიშვნის და დაწინაურების საკითხებს, არ განსაზღვრავს დეტალურ კრიტერიუმებს. აღსანიშნავია, რომ ახალ კანონში აღნიშნული საკითხები თითქმის იგივენაირად რეგულირდება, როგორც ძველში, რომელიც გააკრიტიკა GRECO-მ. უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული საკითხები უფრო დეტალურად გაიწერება კანონქვემდებარე აქტით, თუმცა, GRECO-ს მოთხოვნაა, რომ დანიშვნის და დაწინაურების კრიტერიუმები კანონში იყოს

[3] უფრო ვრცლად პროკურორთა შეფასების სისტემის შესახებ იხილეთ ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ 2018 წლის ანგარიში.

დეტალურად გაწერილი. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

პროკურატურაში დაიხვეწა და აქტიურად გამოიყენება **თანამშრომელთა როტაციის სისტემა.** დაიწყო მუშაობა **პროკურორთა რანგირების სისტემაზეც**, თუმცა სამუშაო პროცესი ამ ეტაპზე დასრულებული არ არის.

სამოქმედო გეგმის თანახმად **რაიონულ პროკურორებსა და მოადგილეებს შორის ფუნქციები გამიჯნული** უნდა იყოს. მართალია, შემუშავებულია დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი და გამიჯნულია პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების (რაიონული პროკურორისა და მისი მოადგილის) ფუნქციები, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, შესაბამისი ცვლილებები რაიონული პროკურატურების დებულებებში ჯერ არ განხორციელებულა, ამიტომ, შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

ამდენად, ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

შედეგი 5.2. პროკურატურის სისტემაში ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის, დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმები გადასინჯულია და ეფექტიანად მუშაობს; საქმეთა განაწილების სამართლიანი სისტემა შექმნილია და ეფექტურად მუშაობს

ინდიკატორი 1: ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმები მიღებულია; პროკურატურის სისტემაში დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურისა და საფუძვლების მარეგულირებელი ნორმები მიღებულია; ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მიმართულებით პროკურატურის საკონსულტაციო საბჭოს როლი გაზრდილია.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პროკურატურის მიერ მომზადდა **პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი და განმარტებითი სახელმძღვანელო**. კოდექსი გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო განმარტებითი დოკუმენტი მოსაზრებებისთვის გადაგზავნილია უცხოელ ექსპერტებთან. მისასალმებელია **ეთიკის კოდექსის იმპლემენტაციის მექანიზმის** ფარგლებში პრაქტიკული მაგალითებით დატვირთული ტრენინგების ჩატარება.[4]

საანგარიშო პერიოდის მნიშვნელოვანი მიღწევაა **დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განჭვრეტადობის** უზრუნველყოფა. ეთიკის ახალი კოდექსი დისციპლინურ გადაცდომებს ყოფს მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით და აკონკრეტებს მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს კონკრეტული დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში.

[4] მოსამზადებელი კურსის ფარგლებში ახალი ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით ტრენინგი ასევე გაიარა 62 -მა სტაჟიორმა.

საქართველოს პროკურატურის მიერ აგრეთვე მომზადდა სახელმძღვანელო დისციპლინურ გადაცდომებთან დაკავშირებით, რომელიც გაგზავნილია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში ექსპერტიზისათვის.

ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის მიმართულებით პროკურატურის საკონსულტაციო საბჭოს როლის გაზრდის მიზნით პროკურატურამ შეიმუშავა წინადადებები, რომლებიც გათვალისწინებული იქნა პროკურატურის შესახებ ახალ კანონში. საბჭოს საქმიანობა და მანდატი მთავარი პროკურორის ბრძანების ნაცვლად უკვე კანონით არის დარეგულირებული და გაზრდილია მისი უფლებამოსილება. შესაბამისად, შედეგი შესაძლებელია მიღწეულად ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

ინდიკატორი 2: საქმეთა განაწილების სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემა შექმნილია და ეფექტურად მუშაობს.

პროკურატურაში მიმდინარეობს მუშაობა **პროკურორისთვის საქმის ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთების თაობაზე** წინადადებების მომზადების მიზნით. ამჟამად მომზადებულია წინადადებების პროექტი, რომლის თანახმად განისაზღვრა ის გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნება პროკურორისთვის საქმის ჩამორთმევა და სხვისთვის გადაცემა. ამასთან, ცვლილებები დამტკიცებული არ არის, ხოლო უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ ადასტურებას, რომ მომზადებული ცვლილებები შეესაბამება GRECO-ს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საქმეთა განაწილების სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემის შექმნისა და ეფექტურად მუშაობის მიზნით მომზადებული წინადადებების პროექტი ვერ პასუხობს მოთხოვნებს. კერძოდ, GRECO-ს მეოთხე რაუნდის რეკომენდაციის თანახმად, საქმის ჩამორთმევასთან დაკავშირებით ზემდგომი პროკურორი ზედმეტად ფართო უფლებამოსილებით სარგებლობდა, ამიტომ საჭირო იყო ადეკვატური შემოწმების და კონტროლის მექანიზმის შექმნა. გარდა ამისა, მკაცრად უნდა გაწერილიყო დეტალური კრიტერიუმები საქმის ჩამორთმევასთან დაკავშირებით და განსაზღვრულიყო დასაბუთების ვალდებულება. უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არ ადასტურებს აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, შესაბამისად, შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

ამდენად, ინდიკატორი არ შესრულდა.

შედეგი 5.3. პროკურატურაში კოლეგიური ორგანოების როლი გაზრდილია

ინდიკატორი: საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით მომზადებულია წინადადებები პროკურატურის საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციების და მუშაობის პროცედურის და მისი როლის გაზრდის შესახებ.

საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით მომზადებულია წინადადებები პროკურატურის საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციების და მუშაობის პროცედურის და მისი როლის გაზრდის შესახებ - აღნიშნული მიზნით 2018 წელს შესწავლილ იქნა ევროპული ქვეყნების საკონსულტაციო ორგანოების, ამ მხრივ არსებული სტანდარტების და სხვა დაკავშირებული საკითხების თაობაზე ვენეციის კომისიის მოსაზრებები. შედეგად, შემუშავდა წინადადებები საკონსულტაციო საბჭოს მნიშვნელობისა და როლის გაზრდის თაობაზე და წარედგინა პარლამენტს. შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი, სრულად შესრულდა.*

ეფექტურობისა და განხორციელების კრიტერიუმებზე დაყრდნობით უნდა აღნიშნოს, რომ რომ უწყებამ ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით 2018 წლისთვის გათვალისწინებული **აქტივობების უმრავლესობა შეასრულა,** რითაც მნიშვნელოვნად მიუახლოვდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ მიზანს.

ამასთან, გამოწვევებად რჩება **რაიონულ პროკურორებსა და მოადგილეებს შორის ფუნქციების გამიჯვნა** და **საქმეთა განაწილების სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემის შექმნა და ეფექტურად მუშაობა.**

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმაში მოხდეს ახალი აქტივობების გაწერა, ისევე როგორც 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ნაწილობრივ შესრულებული და შეუსრულებელი აქტივობების გადატანა და შესრულება.



რეკომენდაციები:

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, აუცილებელია, პასუხისმგებელი უწყების მიერ უზრუნველყოფილი იყოს განსახორციელებელი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად შესრულება, მათ შორის:

- *პროკურორთა დანიშვნის, დაწინაურების, რანგირების, როტაციის, მონიტორინგის, შეფასების და გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმების გადასინჯვა GRECO და OECD-ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციების მიხედვით, შესაბამისი ცვლილებების მიღება და პრაქტიკაში დანერგვა;*
- *საქმეთა განაწილების სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემის შექმნისა და ეფექტურად მუშაობის მიზნით GRECO და OECD-ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციების ანალიზი და მათ საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების მიღება და პრაქტიკაში დანერგვა.*

პრიორიტეტი VI. კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში

სასამართლო სისტემაში კორუფციის პრევენცია უმნიშვნელოვანესია და გავლენას ახდენს მმართველობის ყველა სხვა სფეროზე. შესაბამისად, მართლმსაჯულების ორგანოების მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა განსაკუთრებით ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს.

შედეგი 6.1. მოსამართლეთა დაწინაურების, ანაზღაურებისა და მივლინების ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმები ამოქმედებულია; მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის და იუსტიციის მსმენელთა მიღების, მომზადების და შეფასების პროცედურები გაუმჯობესებულია; სასამართლოების თავმჯდომარეთა ფუნქციები გადასინჯულია OECD-ACN რეკომენდაციების მიხედვით, სასამართლოების თავმჯდომარეთა არჩევის წესი გადახედილია

ინდიკატორი: საკანონმდებლო ცვლილებები წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის; მომზადებული და მიღებულია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.

აღნიშნული შედეგების მიღწევისთვის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორისაა **მოსამართლეთა დაწინაურების პროცესის რეგულირება ვაკანსიის ღიად გამოცხადების და ცხადი კრიტერიუმების მიხედვით.** ამ მიზნით სასამართლოში მიმდინარეობს მუშაობა. საერთაშორისო ექსპერტმა გააანალიზა მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ არსებული საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკა და საქართველოში არსებული სისტემა, რის საფუძველზეც წარმოადგინა წინადადებები.

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის სამართლებრივი და ორგანიზაციული გაუმჯობესების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით[5] შეიქმნა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისია და განისაზღვრა გამოცდის ჩატარების წესი და საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამა.[6] წესით განისაზღვრა გამოცდის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ნორმები, დადგინდა საგამოცდო ტესტის დავალებების სირთულე, შეფასების პროცედურა და სხვა. აღსანიშნავია, რომ წესი ითვალისწინებს ტესტური გამოცდის ჩატარებას ელექტრონული სისტემის საშუალებით დისკრიმინაციული მიდგომების გამორიცხვის მიზნით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის საქმიანობის და პროცედურების რეგულირების მიზნით, მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა საკვალიფიკაციო პალატის წევრებს წარუდგინეს არსებული კანონმდებლობის ანალიზი და რეკომენდაციები. კვლევის მიგნებების საფუძველზე, დაგეგმილია მუშაობის გაგრძელება საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიმართულებით.

მოსამართლეთა დამატებითი ანაზღაურების (ბონუსების) საკითხების OECD-ACN რეკომენდაციის შესაბამისად გადაწყვეტის მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის ფიქსირებული ხელფასების. პროექტის მხოლოდ სამუშაო ვერსიის სახით არსებობს.

სასამართლოების თავმჯდომარეთა ფუნქციებისა და უფლება/მოვალეობების OECD-ACN რეკომენდაციების მიხედვით გადასინჯვის მიზნით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს საქმეთა განაწილების პროცესიდან სასამართლოს თავმჯდომარის სრულ ჩამოშორებას. [7] **საქმეთა განაწილება მთლიანად ელექტრონული სისტემის მიერ ხდება.** მიმდინარეობს მუშაობა სასამართლოს თავმჯდომარეთა და მენეჯერთა ფუნქციების შესწავლის და გამიჯვნის მიზნით.

სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის/არჩევის წესის გადახედვა საანგარიშო პერიოდში ვერ მოხდა. დაგეგმილია თავმჯდომარის თანამდებობაზე გამწესების პროცედურების, ვადებისა და კომპეტენციის თაობაზე საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

სსიპ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში იუსტიციის მსმენელთა მიღების, პროფესიული მომზადებისა და შეფასების საკანონმდებლო რეგულირების სრულყოფისა და პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით შექმნილია სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და „იუსტიციის უმაღლესი

[5] 2018 წლის 19 თებერვლის N1/93 გადაწყვეტილება.

[6] 2018 წლის 19 მარტის N1/152 გადაწყვეტილება.

[7] 2018 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება.

სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ დოკუმენტი.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

შედეგი 6.2. სამოსამართლო ეთიკის პრინციპებისა და ინტერესთა კონფლიქტისა და შეუთავსებლობის მარეგულირებელი ნორმების იმპლემენტაცია; დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის დახვეწა

ინდიკატორი: დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურისა და საფუძვლების მარეგულირებელი ნორმები გადასინჯულია საერთაშორისო სტანდარტების (GRECO, OECD და სხვა) შესაბამისად; დისციპლინური კოლეგიის მიერ განხილულ და სადისციპლინო პალატაში გასაჩივრებულ საქმეთა თანაფარდობა.

მოსამართლეთა ეთიკის ახალი კოდექსის შემუშავება და სახელმძღვანელოს მომზადება საანგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა.

სამოსამართლო ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით საკონსულტაციო მექანიზმი შექმნილი არ არის, მიმდინარეობს საკონსულტაციო მექანიზმის ჩამოყალიბების შესახებ კონცეფციის შემუშავება.

დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების გადასინჯვის [8] მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. სასამართლო რეფორმის ე.წ. „მესამე ტალღის“ ფარგლებში, 2017 წელს შეიქმნა დამოუკიდებელი ინსპექტორის ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს საჩივრები მოსამართლეთა წინააღმდეგ და განახორციელოს საქმის წინასწარი სიღრმისეული გამოკვლევა. რეფორმის შედეგად დისციპლინური სამართალწარმოება და დისციპლინური დევნა ერთმანეთისაგან გაიმიჯნა და სხვა. სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფი აგრძელებს მუშაობას დისციპლინური გადაცდომის სახეებისა და დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწის მიმართულებით. შესაბამისად, ინდიკატორი ამ კომპონენტში ნაწილობრივაა მიღწეული.

სამოსამართლო ეთიკის საკითხებში მოსამართლეთათვის ტრენინგები საანგარიშო პერიოდში აქტიურად ტარდებოდა, გადამზადდა 100-მდე მოსამართლე. უზრუნველყოფილი იქნა **კორუფციის საკითხებზე სასწავლო მოდულის (კურიკულუმის) შემუშავება და მოსამართლეთათვის ტრენინგის ორგანიზება**.

დისციპლინური კოლეგიის მიერ განხილულ და სადისციპლინო პალატაში გასაჩივრებულ საქმეთა თანაფარდობასთან დაკავშირებით 2017 წ. საერთო სასამართლოების მოსამართლეთა

[8] ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის გაზრდის მიზნით; დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის სრულყოფა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ახლებურად ჩამოყალიბება.

სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველად შევიდა 2 საქმე. აქედან, 1 საქმეზე გადაწყვეტილება გასაჩივრდა სადისციპლინო პალატაში. 2018 წლის 21 ნოემბრის მდგომარეობით სადისციპლინო კოლეგიაში განსახილველად შესულია 4 საქმე. მათგან, ერთ საქმეზე მიღებულია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ გადაწყვეტილება, ხოლო სამი საქმე ჯერჯერობით განხილვის პროცესშია, შესაბამისად 2018 წლის განმავლობაში, სადისციპლინო პალატაში სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა. რამდენადაც 2018 წლის საქმეების უმეტესობაზე განხილვა დასრულებული არ არის, აღნიშნული ინდიკატორის საფუძველზე შედეგის გაზომვა ვერ მოხდება.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

შედეგი 6.3. სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება

ინდიკატორი 1: სასამართლო გადაწყვეტილებათა ელექტრონული ბაზა შექმნილია და საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამა მოქმედებს.

საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამა მთელ სასამართლო სისტემაში უკვე ამოქმედებულია.

სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა, თუმცა, ჩატარდა საქართველოს სასამართლო სისტემის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და პროგრამული უზრუნველყოფის კომპლექსური აუდიტი, რომლის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავდა სამოქმედო გეგმა. მიმდინარეობს აქტიური ღონისძიებები სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო პროგრამის სრულყოფილად ამუშავების უზრუნველყოფის მიზნით.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

ინდიკატორი 2: უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა უზრუნველყოფილია.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა გადაწყვეტილების დასაბუთებულობის უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა; ვერ მოხერხდა **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლება.** შესაბამისად, აღნიშნული შედეგის მიღწევა ვერ მოხერხდა.

სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის ნდობა გაზრდასთან დაკავშირებით უწყებამ რაიმე ინფორმაცია არ წარმოადგინა, თუმცა, სამდივნოს მიერ მოპოვებული, 2018 წლის 11 მაისის კვლევის [9] მიხედვით გამოკითხულთა 58% ფიქრობს, რომ სასამართლო სისტემა მმართველი პარტიის გავლენის ქვეშაა, 51% კი მიიჩნევს, რომ ის მიკერძოებულია. ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების

[9] კვლევა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ ჩატარდა.

მიხედვით, რომელიც 30 აპრილს გამოქვეყნდა, გამოკითხული საზოგადოების მხოლოდ 12% აფასებს სასამართლოს საქმიანობას კარგად. მონაცემების მიხედვით სასამართლოს მიმართ ნდობა კვლავ დაბალია, შესაბამისად, შედეგი მიღწეული არ არის.

ამდენად, *ინდიკატორი არ შესრულდა.*

შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ საერთო ჯამში, 2018 წელს დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი სრულად შესრულებული არ არის, რაც სამოქმედო გეგმით დასახული მიზნის მიღწევას ართულებს. ამ მხრივ, მთავარ გამოწვევებს **მოსამართლეთა ეთიკის ახალი კოდექსის შემუშავება და სახელმძღვანელოს მომზადება** და **იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა გადაწყვეტილების დასაბუთებულობის უზრუნველყოფა** წარმოადგენს.

შესაბამისად, აუცილებელია, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა 2018 წლის შეუსრულებელ ვალდებულებებზე.



რეკომენდაციები:

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, აუცილებელია, პასუხისმგებელი უწყების მიერ უზრუნველყოფილი იყოს განსახორციელებელი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად შესრულება, მათ შორის:

- *მოსამართლეთა დაწინაურების პროცესის რეგულირება ვაკანსიის ღიად გამოცხადების და ცხადი კრიტერიუმების მიხედვით;*

- *მოსამართლეთა დამატებითი ანაზღაურების (ბონუსების) საკითხების OECD-ACN რეკომენდაციის შესაბამისად გადაწყვეტა;*
- *სასამართლოების თავმჯდომარეთა ფუნქციებისა და უფლება/მოვალეობების OECD-ACN რეკომენდაციების მიხედვით გადასინჯვა;*
- *სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის/არჩევის წესის გადახედვა;*
- *მოსამართლეთა ეთიკის ახალი კოდექსის შემუშავება და სახელმძღვანელოს მომზადება;*
- *სამოსამართლო ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა;*
- *დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების გადასინჯვა;*
- *დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა;*
- *სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა;*
- *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა გადაწყვეტილების დასაბუთებულობის უზრუნველყოფა;*
- *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლება.*

პრიორიტეტი VII. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში

შედეგი 7.1.1. სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა დაახლოებულია ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან

ინდიკატორი 1: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში განსახორციელებელი საკანონმდებლო ცვლილებების საბოლოო ვერსია შემუშავებული და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის.

ასოცირების შეთანხმების 144-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების ძირითადი სტანდარტების დანერგვის მიზნით 2017 წლის 6 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. შესაბამისად *ინდიკატორი სრულად შესრულებულია.*

ინდიკატორი 2: სახელმწიფო შესყიდვების სფეროში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზამკვლევით (I ფაზა) გაწერილი აქტივობები განხორციელებულია.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 6 აპრილის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების გაცნობისა და იმპლემენტაციის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა, ბიზნეს გაერთიანებების და ასოციაციების, მსხვილი შემსყიდველი ორგანიზაციების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის რამდენიმე შეხვედრა გამართა თემაზე: სახელმწიფო შესყიდვები - განხორციელებული რეფორმები, სიახლეები და ცვლილებები. *ეს ინდიკატორიც შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.*

შედეგი 7.1.2. სახელმწიფო შესყიდვების პროცესში კორუფციული რისკები შემცირებულია

ინდიკატორი 1: სახელმწიფო შესყიდვების პროცესში გამარტივებული შესყიდვების რაოდენობრივი მაჩვენებელი შემცირებულია წინა წელთან შედარებით (2016 წლის მონაცემებით გამარტივებული შესყიდვების შეთანხმებაზე დადებითი პასუხის რაოდენობამ შეადგინა 2,893 (77%) სულ შემოსული 3,760 განცხადებიდან);

2016 წლის მონაცემებით გამარტივებული შესყიდვების შეთანხმებაზე დადებითი პასუხის რაოდენობამ შეადგინა 2,893 (77%) სულ შემოსული 3,760 განცხადებიდან. 2017 წელს გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე 3271 მოთხოვნა და 2627დადებითი პასუხი დაფიქსირდა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2893) 9,2%-ით ნაკლებია. 2018 წელს ნოემბრის მდგომარეობით, მოთხოვნილი 2346-დან დადებითი პასუხის რაოდენობამ შეადგინა 1872, რაც წინა წლების მაჩვენებელზე დაბალია. ინდიკატორის მიხედვით აღნიშნული შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორი 2: სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი შემუშავებული და მიღებულია

მნიშვნელოვანი სიახლე იყო **„სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსის" შემუშავება.**[10] რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მაღალი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრებასა და საზოგადოების მხრიდან სახელმწიფო შესყიდვების პროცესისადმი ნდობის ამაღლებას.

[10] კოდექსის პრეზენტაცია გაიმართა 2017 წლის 20 დეკემბერს.

ინდიკატორი სრულად შესრულებულია.

შედეგი 7.1.3. დავების განმხილველი ორგანო ინსტიტუციურად გაძლიერებულია და მისი ეფექტიანობა გაზრდილია

ინდიკატორი 1: დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრებული გადაწყვეტილებების რაოდენობის დინამიკა გაზრდილია წინა წელთან შედარებით (2016 წელს დავების განხილვის საბჭოში შემოვიდა 1,573 საჩივარი);

სამოქმედო გეგმით სახელმწიფო შესყიდვების ნაწილში გათვალისწინებული კიდევ ერთი შედეგის ინდიკატორია **დავების განხილვის საბჭოში გასაჩივრებული გადაწყვეტილებების რაოდენობის დინამიკის გაზრდა წინა წელთან შედარებით.** 2016 წელს დავების განხილვის საბჭოში შევიდა 1,573 საჩივარი. 2017 წელს დავების განხილვის საბჭოში შევიდა 5%-ით ნაკლები საჩივარი - 1492, ხოლო 2018 წელს (ნოემბრის მდგომარეობით) - 903 საჩივარი, რაც 2017 წელს იმავე პერიოდში შესულ საჩივართა რაოდენობაზე 35%-ით ნაკლებია.

ინდიკატორი არ არის შესრულებული.

ინდიკატორი 2: სასამართლოში გასაჩივრებული დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და სასამართლოს მიერ უცვლელად დატოვებულ გადაწყვეტილებათა თანაფარდობა წინა წელთან შედარებით (2016 წელს დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული სასამართლოში გასაჩივრებული 36 გადაწყვეტილებიდან სასამართლომ ყველა შემთხვევაში ძალაში დატოვა დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება)

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორის თანახმად, უნდა გაიზომოს **სასამართლოს მიერ განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების უცვლელად დატოვების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით.** 2016 წელს სასამართლოში გასაჩივრებული დავების განხილვის საბჭოს 36 გადაწყვეტილებიდან სასამართლომ ყველა ძალაში დატოვა. 2017 წელს დაფიქსირდა იგივე მაჩვენებელი. 2018 წელს სასამართლოში გასაჩივრებული იქნა 24 გადაწყვეტილება, საიდანაც დღევანდელი მდგომარეობით (16.11.2018) სასამართლოს არ გაუუქმებია საბჭოს მიღებული არც ერთი გადაწყვეტილება. *შესაბამისად, ინდიკატორი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.*

შედეგი 7.1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა (eProcurement) მოდიფიცირებულია

ინდიკატორი 1: eProcurement სისტემის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა წინა წელთან შედარებით (2016 წლის მონაცემებით eProcurement სისტემაში რეგისტრირებულია 4,401 შემსყიდველი ორგანიზაცია და 30,704 მიმწოდებელი).

2016 წლის მონაცემებით eProcurement სისტემაში რეგისტრირებული იყო 4,401 შემსყიდველი ორგანიზაცია და 30,704 მიმწოდებელი). 2017 წლის მონაცემებით, eProcurement სისტემაში რეგისტრირებულია 4293 შემსყიდველი ორგანიზაცია და 34,879 მიმწოდებელი, ხოლო 2018 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით, სისტემაში რეგისტრირებულია 4439 შემსყიდველი ორგანიზაცია და 37862 მიმწოდებელი. საერთო ჯამში, წინა წლებთან შედარებით მაჩვენებელი გაზრდილია, შესაბამისად, შედეგი მიღწეულია.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორი 2: e-Market-ის სპეციალიზებული web-based მონაცემთა ბაზა ამოქმედებულია და ზრდადია მისი მომხმარებელთა რაოდენობა; შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგის (e-Market) ჩანაწერების სიმრავლე;

შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის ტენდერების წინა მოსამზადებელი სამუშაოების უკეთ წარმართვისა და ბაზრის კვლევის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, 2017 წლიდან ამოქმედდა **შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული სპეციალიზებული web-based კატალოგი (e-Market)**, ხოლო მასზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივი განახლების რეჟიმშია. აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით შედეგი მიღწეულია.

შესყიდვის ობიექტებისა და მიმწოდებლების ელექტრონული კატალოგის (e-Market) ჩანაწერების სიმრავლე - აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით უწყებამ ინფორმაცია არ წარმოადგინა, შესაბამისად შედეგი ვერ გაიზომება.

ინდიკატორი შესრულებული არ არის.

ინდიკატორი 3: ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის გამოყენება შესაძლებელია eProcurement სისტემის რამდენიმე ელექტრონულ სერვისთან მიმართებით.

2019 წლიდან მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები ვალდებულები იქნებიან სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით. ამ ეტაპზე ელექტრონული ხელმოწერა გამოიყენება ბიზნეს-პროცედურების ნაწილზე, რაც შედეგის მეტწილად მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

შედეგი 7.1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია

ინდიკატორი 1: eProcurement სისტემის მომხმარებელთა რაოდენობა გაზრდილია წინა წელთან შედარებით (2016 წლის მონაცემებით eProcurement სისტემაში რეგისტრირებულია 4,401 შემსყიდველი ორგანიზაცია და 30,704 მიმწოდებელი).

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ინდიკატორის მიხედვით უნდა მომხდარიყო **eProcurement სისტემის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა წინა წელთან შედარებით.** 2016 წლის მონაცემებით eProcurement სისტემაში რეგისტრირებული იყო 4,401 შემსყიდველი ორგანიზაცია და 30,704 მიმწოდებელი). 2017 წლის მონაცემებით, eProcurement სისტემაში რეგისტრირებულია 4293 შემსყიდველი ორგანიზაცია და 34,879 მიმწოდებელი, ხოლო 2018 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით, სისტემაში რეგისტრირებულია 4439 შემსყიდველი ორგანიზაცია და 37862 მიმწოდებელი. საერთო ჯამში, წინა წლებთან შედარებით მაჩვენებელი გაზრდილია, შესაბამისად, შედეგი მიღწეულია.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორი 2: ბიზნეს ორგანიზაციების მიერ ePlan მოდულის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზრდილია.

ბიზნეს ორგანიზაციების მიერ ePlan მოდულის გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდასთან დაკავშირებით უწყებამ ინფორმაცია არ წარმოადგინა, შესაბამისად ამ ინდიკატორის საფუძველზე შედეგი ვერ გაიზომება.

ინდიკატორი არსებული მონაცემებით შესრულებული არ არის.

ინდიკატორი 3: სახელმწიფო შესყიდვების სფეროს საკომუნიკაციო სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებული და მიღებულია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, შემუშავდა სახელმწიფო შესყიდვების სფეროს საკომუნიკაციო სტრატეგია, რომელიც წარედგინათ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანამშრომლებს. სტრატეგიის მიღება გაწერილია 2018 წლის აქტივობებით. შესაბამისად, 2017 წლის მონაცემებით, ინდიკატორი *ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.*

საჯარო ფინანსები

შედეგი 7.2.1. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა ეტაპობრივად განხორციელებულია

ინდიკატორი 1: ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვა 16 სამინისტროში (8 სამინისტრო - მესამე ეტაპი, 8 სამინისტრო - მეორე ეტაპი). შემუშავებული და დამტკიცებულია მეორე ეტაპის დანერგვის ინსტრუქცია.

ინდიკატორის მიხედვით **ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა დანერგილი უნდა იყოს 16 სამინისტროში.** თუმცა, საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მოულოდნელი სამთავრობო ცვლილებების გამო სამინისტროების რაოდენობა 16 ერთეულიდან შემცირდა 10-მდე. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა დაგეგმილი ღონისძიებების გადახედვა. ამ ეტაპზე აღნიშნული *ინდიკატორი შესრულებულად ვერ ჩაითვლება.*

შედეგი 7.2.2. ჰარმონიზაციის ცენტრი ინსტიტუციურად გაძლიერებულია და ეფექტიანად ფუნქციონირებს

7.2.2 შედეგის შესრულების გაზომვა ხდება 2017 წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობით. 2017 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტში ოთხი თანამშრომლის დასაქმება, რაც წარმატებით განხორციელდა. ამავე დროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის თანამშრომლები პერიოდულად ესწრებოდნენ ტრენინგებს შიდა აუდიტისა და ფინანსური მართვის და კონტროლის კუთხით, როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში. სულ განხორციელდა ორი ტრენინგი და ერთი სასწავლო ვიზიტი. ვინაიდან გეგმით გათვალისწინებული აქტივობები სრულად შესრულდა, *ინდიკატორი სრულად შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.*

შედეგი 7.2.3. შიდა აუდიტის სისტემის ფუნქციონირება გაუმჯობესებულია

ინდიკატორი 1: ხარისხის გარე შეფასება განხორციელებულია სულ მცირე ორ შიდა აუდიტის სუბიექტში.

ხარისხის გარე შეფასება განხორციელებული უნდა იყოს სულ მცირე ორ შიდა აუდიტის სუბიექტში, რაც ვერ მოხერხდა. შესაბამისად, აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით შედეგი არ არის მიღწეული.

ინდიკატორი არ შესრულდა.

ინდიკატორი 2: ჩატარებულია პილოტური სისტემური ან/და ეფექტიანობის აუდიტი სულ მცირე ორ სახელმწიფო დაწესებულებაში.

აღნიშნული ინდიკატორი თვალისწინებს **პილოტური სისტემური ან/და ეფექტიანობის აუდიტის სულ მცირე ორ სახელმწიფო დაწესებულებაში** ჩატარებას, აღნიშნული შედეგი მიღწეულია, რადგან განხორციელებულია ოთხი სისტემური და ერთი ეფექტიანობის აუდიტი ორ სამინისტროსა და სამი მუნიციპალიტეტის მერიაში.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.

შედეგი 7.2.4 საჯარო ფინანსების მართვის მექანიზმები გაუმჯობესებულია (E-Budget და E-Treasury)

ინდიკატორი 1: კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მომზადებულია.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა კონსოლიდირებული ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და წარედგინა საქართველოს პარლამენტს. *შესაბამისად, ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.*

ინდიკატორი 2: ბიუჯეტის დაგეგმვის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის მაჩვენებელი გაზრდილია;

მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენს, ბიუჯეტის დაგეგმვის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის მაჩვენებლის ზრდა 2015 წელთან შედარებით. კერძოდ, ***Open Budget Survey***-ის მიხედვით ბიუჯეტის ***გამჭვირვალობის ნაწილში საქართველოს მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით 2017 წელს 66 ქულიდან 82 ქულამდე გაიზარდა.***[11] აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებებია დასაგეგმი სამოქალაქო საზოგადოების წასახალისებლად მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის შედგენაში [12] ამ მიმართულებით 2016 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა და მნიშვნელოვანი ცვლილებები იგეგმება დონორების მხარდაჭერით. *ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.*

ინდიკატორი 3: სამოქმედო გეგმით განსაზღვრული IPSAS სტანდარტები დანერგილია ყველა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციასა და ორ თვითმმართველ ერთეულში.

მიღწეულია შედეგი **IPSAS სტანდარტების ყველა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციასა და ორ თვითმმართველ ერთეულში დანერგვასთან** დაკავშირებით, რადგან აღნიშნულ სტანდარტებს იყენებს ყველა სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაცია და 11 მუნიციპალიტეტი.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.

---

[11] Open BudgetSurvey 2017 .

[12] Open BudgetSurvey-ის მიხედვით ბიუჯეტის შედგენაში საზოგადოების ჩართულობის ქულა 2017 წელს იყო 46, ხოლო 2015 წელს - 22. Open BudgetSurvey 2017 . აღნიშნული ქულის ცვლილება განაპირობა 2017 წლის შეფასების მეთოდოლოგიის ცვლილებამ, კერძოდ ახალი მეთოდოლოგია საზოგადოების ჩართულობის კუთხით მეტ მოთხოვნებს ითვალისწინებს.

შედეგი 7.2.5. გარე აუდიტის სისტემის ფუნქციონირება გაუმჯობესებულია

ინდიკატორი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის აუდიტორული საქმიანობით დაფარვა ყოველწლიურად მინიმუმ 85%-ია.

სამოქმედო გეგმის შესაბამისად **სახელმწიფო ბიუჯეტის აუდიტორული საქმიანობით დაფარვა ყოველწლიურად მინიმუმ 85%** უნდა იყოს. აღნიშნული ინდიკატორის მიხედვით შედეგი მიღწეულია, რადგან 2018 წლის აუდიტორული საქმიანობის გეგმით ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი 86%-ს შეადგენს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორი 2: ეფექტიანობის აუდიტების პროცენტული წილი მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში ყოველწლიურად მინიმუმ 10%-ია;

მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში ეფექტიანობის აუდიტების პროცენტული წილი ინდიკატორით გათვალისწინებული სულ მცირე 10%-ის ნაცვლად 19%-ა, რაც შედეგის მიღწევაზე მიუთითებს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორი 3: სულ მცირე 4 IT აუდიტი ჩატარებულია; 2018 წლის ბოლოსთვის აუდიტის მართვის სისტემის ონლაინ მოდულში ჩატარებულია აუდიტების 100%;

საჯარო ფინანსების მართვის მონიტორინგის კუთხით მნიშვნელოვანი შედეგია ***აუდიტის მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა***, რომელშიც სატესტო რეჟიმში საანგარიშო პერიოდში უკვე განხორციელდა 16 ფინანსური აუდიტი ფინანსური აუდიტი, [13] ეფექტიანობისა და IT აუდიტი. აქვე, აღსანიშნავია, რომ IT აუდიტის ფუნქცია 2016 წელს ჩამოყალიბდა და საანგარიშო პერიოდში ***განხორციელდა ორი IT აუდიტი*** - სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობის ადმინისტრირების ეფექტიანობის აუდიტი და სახელმწიფო პენსიის მართვის პროცესის ეფექტიანობის აუდიტი.

ინდიკატორი ნაწილობრივაა შესრულებული.

ინდიკატორი 4: კორუფციული რისკების შეფასების (Forensic Audit) მეთოდოლოგია და ტრეინინგ კურსის ორი მოდული შემუშავებულია, რომელშიც სულ მცირე 40 თანამშრომელია დატრეინინგებულია.

[13] ევროკავშირის ექსპერტების შეფასებით 16-დან ოთხი აუდიტი სრულად აკმაყოფილებდა ხარისხის ყველა სტანდარტს.

ინდიკატორით გათვალისწინებულია **კორუფციული რისკების შეფასების (Forensic Audit) მეთოდოლოგიის მომზადება და სულ მცირე 40 თანამშრომლის დატრენინგება.** შედეგი სრულად ვერ იქნა მიღწეული, რადგან, მართალია, მომზადდა მეთოდოლოგია, მაგრამ ტრენინგი 26-მა თანამშრომელმა გაიარა.

ინდიკატორი ნაწილობრივ არის შესრულებული.

შედეგი 7.2.6. კორუფციის რისკების პრევენციისათვის საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობა ამაღლებულია და ანგარიშვალდებულება უზრუნველყოფილია.

ინდიკატორი 1: აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაღალი მაჩვენებელი.

სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი 51%-ია. იმის გათვალისწინებით, თუ რეკომენდაციების შესრულებით რამდენად მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანაა შესაძლებელი საჯარო ფინანსების მართვის პროცესში, მიზანშეწონილია მეტი აქტიურობა რათა ყველა დაინტერესებული მხარე იყოს ინფორმირებული და ჩართული რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობის პროცესში. ვინაიდან, რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი ნახევარზე მეტია, *ინდიკატორი სრულად შესრულებულად უნდა იყოს მიჩნეული.*

ინდიკატორი 2: მხარჯავი დაწესებულებების შიდა კონტროლის სიძლიერისა და კეთილსინდისიერების კვლევა ჩატარებულია და შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

შედეგი **მხარჯავი დაწესებულებების შიდა კონტროლის სიძლიერისა და კეთილსინდისიერების კვლევის ჩატარებასა და შედეგების საჯაროდ** ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მიღწეული არ არის, რადგან ასეთი კვლევა ჯერ არ ჩატარებულა.

აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ინდიკატორი შესრულებულად ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორი 3: ბიუჯეტის მონიტორი მუდმივად განახლებულია.

ბიუჯეტის მონიტორი მუდმივად განახლებულია - ბიუჯეტის მონიტორის გაუმჯობესებაზე ზრუნვა მუდმივი პროცესია, ჩატარდა კვლევა და გაიცა რეკომენდაციები მისი გაუმჯობესების მიზნით. დამოუკიდებელი საშემფასებლო მექანიზმის (IRM) პროგრეს ანგარიშში, ბიუჯეტის მონიტორი შეფასებულია როგორც ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულების მაგალითი.

შესაბამისად ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შეფასებამ აჩვენა, რომ 2017-2018 წლებში განხორციელებულმა აქტივობებმა მკვეთრად გაუმჯობესა შესყიდვებისა და საჯარო ფინანსების სფერო. სახელმწიფო შესყიდვების

ელექტრონული სისტემის, ასევე e-market-ისა და e-plan-ის შემუშავებამ მნიშვნელოვნად განაპირობა მოქალაქეთა მიერ ინფორმაციის შესყიდვების სფეროში ინფორმაციის მოძიების ეფექტურობა და სისტემის გამჭვირვალობა. შესაბამისად, მთავარი მიზნის ფარგლებში გაწერილმა აქტივობებმა უზრუნველყო კანონმდებლობის წარმატებული გადასინჯვა, დავების განმხილველი ორგანოს ინსტიტუციური გაძლიერება და კორუფციული რისკების შემცირება. საჯარო შესყიდვების კუთხით რეკომენდებულია განხორციელდეს საქმიანობა კეთილსინდისიერების პაქტების შემუშავებისა და დანერგვის კუთხით. საჯარო ფინანსების სფეროში აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა წარმატებით განხორციელდა სამინისტროების ნაწილში, რაც ასევე ხელს უწყობს საფინანსო კონტროლის გაძლიერებასა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებას. ამასთან, შიდა აუდიტის სისტემის ფუნქციონირების დახვეწა განპირობებული იყო ხარისხის გარე შეფასების განხორციელებასა და ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების პროცესებზე. ამ კუთხით გამოწვევად რჩება კორუფციული რისკების შეფასების (ForensicAudit) მეთოდოლოგიის იმპლემენტაცია და თანამშრომელთა დატრენინგება მეთოდოლოგიის შესაბამისად, ასევე გარე შეფასების პროგრამის განხორციელება. ამასთან, აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების სახელმწიფო უწყებების მიერ გათვალისწინების მაღალი მაჩვენებელი და მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფის ინოვაციური პლატფორმის დანერგვა მიანიშნებს გარე აუდიტის ფუნქციონირების გაუმჯობესებაზე, რაც ემსახურება საჯარო ფინანსების სფეროს გამჭვირვალობის ეფექტურ გაუმჯობესებას.



რეკომენდაციები:

(სახელმწიფო შესყიდვები)

1. გაგრძელდეს მუშაობა ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

2. რეკომენდებულია, შესყიდვების ეროვნულმა სააგენტომ დაიწყოს მუშაობა შესყიდვების პროცესში კეთილსინდისიერების პაქტების (Integrity Pact) გამოყენების კუთხით.

(საჯარო ფინანსები)

1. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა კორუფციული რისკების შეფასების (ForensicAudit) მეთოდოლოგიის იმპლემენტაციაზე.

2. მხარჯავი დაწესებულებების ორგანიზაციული მართვის, მათ შორის, ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტიანობის პერიოდული შეფასების განხორციელება სტანდარტული სარეიტინგო კითხვარების გამოყენებით;

3. მნიშვნელოვანია მხარჯავი დაწესებულებების შიდა კონტროლის სიძლიერისა და კეთილსინდისიერების კვლევის ჩატარება და შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობა;

4. მნიშვნელოვანია აუდიტის მართვის სისტემის ონლაინ მოდულში აუდიტების 100%-ის განხორციელება;

პრიორიტეტი VIII. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში

შედეგი 8.1. გადასახადების ადმინისტრირება და საბაჟო კონტროლი გაუმჯობესებულია

ინდიკატორი 1: შემუშავებულია ხარისხის კონტროლის ახალი მექანიზმები.

ერთ-ერთი ინდიკატორის მიხედვით **შემუშავებული უნდა იყოს ხარისხის კონტროლის ახალი მექანიზმები.** შემოსავლების სამსახურში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სისტემატურად უწევს კოორდინაციას და მონიტორინგს არსებულ შეფასების კრიტერიუმებს. **ერთიანი მეთოდოლოგიური მიდგომების შემუშავების** მიზნით დამტკიცდა 21 სიტუაციური სახელმძღვანელო. აღნიშნული შედეგი ვერ ჩაითვლება სრულად მიღწეულად, რადგან

ინდიკატორში საუბარია ხარისხის კონტროლის ახალი მექანიზმების შექმნაზე. არსებული კრიტერიუმების მონიტორინგი ვერ ჩაითვლება სრულად მიღწეულ შედეგად.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

ინდიკატორი 2: გადასახადის გადამხდელთა სასარგებლოდ დასრულებული საგადასახადო დავების რაოდენობა.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ კიდევ ერთ ინდიკატორს წარმოადგენს **გადასახადის გადამხდელთა სასარგებლოდ დასრულებული საგადასახადო დავების რაოდენობა.** 2017 წელს გადასახადის გადამხდელთა სრული დაკმაყოფილებით დასრულდა დავების 20% (სასამართლოში გასაჩივრებული საქმეების 88% შემოსავლების სამსახურმა მოიგო), ნაწილობრივი დაკმაყოფილებით - 53% (სასამართლოში 2%). 2018 წელს 8%-ით შემცირდა გადამხდელთა სასარგებლოდ დასრულებული დავების რაოდენობა, ხოლო სასამართლოში გასაჩივრებული საქმეებიდან შემოსავლების სამსახურმა დავა მოიგო 90%-ზე სრულად და 3%-ზე ნაწილობრივ. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს, რადგან, ის ფაქტი, რომ სასამართლოში საქმეთა 90%-ს შემოსავლების სამსახური იგებს, მიუთითებს მექანიზმის გამართულ მუშაობაზე.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

ინდიკატორი 3: საგადასახადო შემოწმებისა და საბაჟო კონტროლისას გამოვლენილი საგადასახადო სამართალდარღვევების რაოდენობა გაზრდილია.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორის მიხედვით გაზრდილი უნდა იყოს **საგადასახადო შემოწმებისა და საბაჟო კონტროლისას გამოვლენილი საგადასახადო სამართალდარღვევების რაოდენობა.** აღნიშნული მაჩვენებლები თითქმის თანაბარია 2017 და 2018 წლებში. შედეგის გასაზომად საჭიროა წინა წლების მონაცემები, რაც უწყებას არ წარმოუდგენია, ამიტომ, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით შედეგის შეფასება ვერ მოხდება.

ამდენად, *ინდიკატორი არ შესრულდა.*

ინდიკატორი 4: საგადასახადო ორგანოების მუშაობის მარეგულირებელი გამოცემული სამართლებრივი აქტები დახვეწილია.

საგადასახადო ორგანოების მუშაობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების დახვეწა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კიდევ ერთი ინდიკატორია, რომლის შესახებ უწყებამ ინფორმაცია არ წარმოადგინა, რაც შედეგის მიუღწევლობაზე მიუთითებს.

ამდენად, *ინდიკატორი არ შესრულდა.*

ინდიკატორი 5: საბაჟო ადმინისტრირების ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის მაჩვენებელი გაზრდილია.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ კიდევ ერთი ინდიკატორის მიხედვით გაზრდილი უნდა იყოს **საბაჟო ადმინისტრირების ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის მაჩვენებელი.** OECD-ის ვაჭრობის ხელშეწყობის ინდიკატორში, რომელიც 163 ქვეყნის სასაზღვრო პროცედურების სრულ სპექტრს ამოწმებს, 2017 წლის შეფასების მიხედვით საქართველო ყველაზე ახლოსაა საუკეთესო შედეგთან ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოების ჩართულობა, გადასახდელები და მოსაკრებლები, ფორმალობები, უწყებათაშორისი თანამშრომლობა საზღვარზე, კარგი მმართველობა და მიუკერძოებლობა.[14] ინდიკატორის მიხედვით შედეგი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

შედეგი 8.2. ელექტრონული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

ინდიკატორი: ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობა გაზრდილია.

უწყებამ არ წარმოადგინა საკმარისი ინფორმაცია **ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით,** ამიტომ, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით შედეგის გაზომვა ვერ მოხდება.

ამდენად, *ინდიკატორი არ შესრულდა.*

შედეგი 8.3. საბაჟო-საგადასახადო თანამშრომელთა მონიტორინგი მუდმივად

ინდიკატორი 1: თანამშრომელთა მიერ ჩადენილი გადაცდომების მაჩვენებელი.

თანამშრომელთა მიერ ჩადენილი გადაცდომების მაჩვენებლის კუთხით შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს, რადგან რაოდენობა სტაბილურად მცირეა - წელიწადში 53-55 გადაცდომა.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

ინდიკატორი 2: მომსახურების ხარისხის მაჩვენებელი გაზრდილია.

უწყების მიხედვით **მომსახურების ხარისხის მაჩვენებელი გაზრდილია,** ამ მიზნით შემუშავდა სერვისცენტრის თანამშრომელთა მომსახურების შეაფასების კრიტერიუმები, რომლებიც ეყრდნობა შემოსავლების სამსახურის სერვისცენტრის მომსახურების სტანდარტებს და

[14] ინდიკატორის თაობაზე დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე.

განსაზღვრავს მომხმარებელთან ქცევის ნორმებს. დღეის მდგომარეობით დაკვირვებები დაიწყო და განხორციელების პროცესშია.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

შედეგი 8.4. საგადასახადო დავების განხილვის არსებული სისტემა დახვეწილია

ინდიკატორი: საგადასახადო მედიაციის ონლაინ რეჟიმში გამართვა შესაძლებელია; საერთო სასამართლოებთან ელექტრონული სისტემა შემუშავებულია.

უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით **საგადასახადო მედიაციის ონლაინ რეჟიმში გამართვა შესაძლებელია** და გადამხდელებს შეუძლიათ ონლაინ ჩაერთონ შემოსავლების სამსახურის დავების განმხილველი ორგანოს სხდომებზე. შესაბამისად, შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

საერთო სასამართლოებთან ელექტრონული სისტემა ჯერ შემუშავებული არ არის. უწყების ინფორმაციით, აუცილებელია სასამართლოს ელექტრონული ბაზების მოდიფიკაცია და თავსებადობა. შესაბამისად, შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

შედეგი 8.5. საგადასახადო სისტემების გამჭვირვალობა გაზრდილია და საზოგადოებაში

ინდიკატორი: მოსახლეობის, მათ შორის, ბიზნეს სფეროს წარმომადგენლების პოზიტიური დამოკიდებულების ზრდა საბაჟო და საგადასახადო სისტემებში კორუფციის დაბალი მაჩვენებლის შესახებ.

აღნიშნული შედეგის ინდიკატორის შესახებ უწყებამ ძალიან ზოგადი ინფორმაცია წარმოადგინა. საკმარისი მონაცემების არარსებობის გამო შედეგის მიღწევა ვერ ფასდება.

ამდენად, *ინდიკატორი არ შესრულდა.*

შედეგი 8.6. ანტიკორუფციულ საკითხებში საბაჟო და საგადასახადო სისტემების მოხელეთა კვალიფიკაცია ამაღლებულია

ინდიკატორი: საგადასახადო სისტემაში დასაქმებული მოხელეებისათვის ანტიკორუფციულ საკითხებში ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა გაზრდილია; ტრენინგებში მონაწილე პირთა რაოდენობა გაზრდილია.

საგადასახადო სისტემაში დასაქმებული მოხელეებისათვის ანტიკორუფციულ საკითხებში ტრენინგები ჩატარებული არ არის, შესაბამისად, **არც რაოდენობა გაზრდილა,** როგორც ამას ინდიკატორი მოითხოვს. შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

ამდენად, *ინდიკატორი არ შესრულდა.*

საერთო ჯამში, მერვე პრიორიტეტის ქვეშ გათვალისწინებული 11 შედეგის ინდიკატორიდან ოთხი ინდიკატორის საფუძველზე შედეგის გაზომვა ვერ ხერხდება (რაც მიუღწეველ შედეგად უნდა ჩაითვალოს). დანარცენი შვიდი ინდიკატორიდან ექვსი ინდიკატორით შედეგი მიღწეულია, ერთი ინდიკატორის მიხედვით კი შედეგის მიღწევა ვერ მოხდა. შესაბამისად, მერვე პრიორიტეტით გათვალისწინებული შედეგები ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

აქვე მნიშნველოვანია აღინიშნოს, რომ რომ აუცილებელია პასუხისმგებელმა უწყებამ შეფასებისას წარმოადგინოს მის ხელთ არსებული ყველა საჭირო ინფორმაცია, რაც სამდივნოს დაეხმარება შედეგების გაზომვაში.



რეკომენდაციები:

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად აუცილებელია პასუხისმგებელი უწყების მიერ უზრუნველყოფილი იყოს განსახორციელებელი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად შესრულება, მათ შორის:

- *მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა;*
- *ხარისხის კონტროლის ახალი მექანიზმების შემუშავება;*
- *საგადასახადო ორგანოების მუშაობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების გადახედვა და საჭიროებისამებრ დახვეწა;*

- *ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობა;*
- *საგადასახადო სისტემაში დასაქმებული მოხელეებისათვის ანტიკორუფციულ საკითხებში ტრენინგების უზრუნველყოფა.*

პრიორიტეტი IX. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით

შედეგი 9.1. ბიზნესის კეთილსინდისიერების რისკების შესახებ ცნობიერება ამაღლებულია

ინდიკატორი 1: ბიზნესის კეთილსინდისიერების თემაზე ჩატარებულია ცნობიერების ასამაღლებელი ოთხი ღონისძიება. უზრუნველყოფილია ბიზნეს სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობა ცნობიერების ასამაღლებელ ღონისძიებებში.

ბიზნესის კეთილსინდისიერების საკითხებზე ცნობიერების ამაღლების თემატიკაში ჩართულია რამდენიმე საჯარო უწყება. [15] ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით 2017 წელს გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების გაცნობისა და ბიზნესის კეთილსინდისიერების თემების განხილვის მიზნით შეხვედრები ჩაატარა ბიზნეს სექტორის სხვადასხვა წარმომადგენელთან. კონკურენციის სააგენტომ ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია: *„ჯანსაღი კონკურენცია და ბიზნესის კეთილსინდისიერება - როგორც აუცილებელი ელემენტი მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის“.* აღნიშნული კონფერენციის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა მცირე და საშუალო ბიზნესი, რომელთაც მიიღეს ინფორმაცია კონკურენციის სფეროში მათ ვალდებულებებსა და ბიზნესის კეთილსინდისიერების დაცვის მნიშვნელობაზე. მიუხედავად 2017 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებებისა, მნიშვნელოვანია ***ბიზნესის კეთილსინდისიერების რისკების სისტემური შესწავლა და ცნობიერების ამაღლების ტრენინგების ჩატარება ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისა და საჯარო მოხელეებისთვის.***

ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

ინდიკატორი 2: ბიზნესის კეთილსინდისიერების საკითხებზე შემუშავებულია რეკომენდაციები.

---

[15] *ბიზნესის კეთილსინდისიერების რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება* წარმოადგენს OECD-ACN-ის მონიტორინგის მეოთხე რაუნდის ფარგლებში საქართველოსთვის გაცემულ ერთ-ერთ რეკომენდაციას, OECD-ACN Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, 2016.

რეკომენდაციების შემუშავება არ მომხდარა. *შესაბამისად ინდიკატორი შესრულებული არ არის.*

ინდიკატორი 3: ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის ბიზნესის კეთილსინდისიერების გაიდლაინები მომზადებულია.

მიმდინარეობს მუშაობა ბიზნესის კეთილსინდისიერების გაიდლაინების შემუშავებაზე, თუმცა სახელმძღვანელო შემუშავებული არ არის.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

შედეგი 9.2. კონკურენციის სააგენტო ინსტიტუციურად გაძლიერებულია

ინდიკატორი 1: კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ჩატარებულია ათი ტრენინგი და განხორციელებულია სამი სამუშაო ვიზიტი. კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა უმრავლესობა დატრენინგებულია.

კონკურენციის სააგენტოს თანამშრომლებისთვის ათი ტრენინგის ნაცვლად ჩატარებულია 7 ტრენინგი და განხორციელებულია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სამიდან სამივე სამუშაო ვიზიტი. ამიტომ შედეგი მეტწილად მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

კონკურენციის სააგენტოს თანამშრომელთა უმრავლესობა დატრენინგებულია - სააგენტოს 43 თანამშრომლიდან დატრენინგებულია 25 თანამშრომელი, რაც თანამშრომლების ნახევარზე ოდნავ მეტია, ამიტომ შედეგი ნაწილობრივ მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

ინდიკატორი 2: შესწავლილი საქმეებისა და ბაზრების რაოდენობა გაზრდილია.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორის მიხედვით **შესწავლილი საქმეებისა და ბაზრების რაოდენობა გაზრდილი უნდა იყოს.** 2018 წელს 6 საქმის ფარგლებში შესწავლილია 15 სასაქონლო ბაზარი (ნაწილზე მონიტორინგი ისევ მიმდინარეობს), ხოლო 2017 წელს 7 საქმე და 10 ბაზარი იყო შესწავლილი. 2015 წელს შესწავლილი იყო 13 საქმე და 14 ბაზარი, 2016 წელს - 9 საქმე და 13 ბაზარი. როგორც მონაცემებიდან ჩანს, საანგარიშო პერიოდში წინა წლებთან შედარებით ბაზრების და საქმეების რაოდენობამ ჯერ იკლო (2017 წ), შემდეგ კი ბაზრების რაოდენობამ იმატა, მაგრამ საქმეთა რაოდენობა ისევ უფრო ნაკლები დარჩა, ვიდრე 2015-2016 წლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, შედეგი ნაწილობრივ მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი ნაწილობრივაა შესრულებული.

ინდიკატორი 3: სრულყოფილი საკანონდებლო ბაზის შექმნისა და ქმედითი აღსრულების მექანიზმების კუთხით საკანონდებლო ცვლილებების პაკეტი მომზადებულია.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კიდევ ერთი ინდიკატორის მიხედვით **სრულყოფილი საკანონდებლო ბაზის შექმნისა და ქმედითი აღსრულების მექანიზმების კუთხით საკანონდებლო ცვლილებების პაკეტი მომზადებული უნდა იყოს.** საანგარიშო პერიოდში ცვლილებების პაკეტი მომზადებულია და მიმდინარეობს სხვადასხვა უწყებებიდან წარმოდგენილი შენიშვნების ასახვა პროექტის საბოლოო ფორმირების მიზნით. ინდიკატორის მიხედვით შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შედეგი 9.3. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული პროგრამები დანერგილია

ინდიკატორი 1: უმოქმედო და არამომგებიანი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რაოდენობა შემცირებულია.

უმოქმედო და არამომგებიანი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რაოდენობა შემცირებულია. უმოქმედო და არამომგებიანი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების რაოდენობა შემცირებულია 20-ით, *შესაბამისად, ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.*

ინდიკატორი 2: დატრენინგებულია სახელმწიფოს 50%-ზე (სს-ს შემთხვევაში 75%-ზე) მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოთა მმართველი რგოლის წარმომადგენელთა უმრავლესობა.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული პროგრამების დანერგვის მიზნით ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2017 წლის განმავლობაში უზრუნველყო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მენეჯერების ნაწილის დატრენინგება კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციულ საკითხებზე.[16]

2017 წლის განმავლობაში დატრენინგდა 74-მდე საწარმოს თანამშრომელი. ტრენინგები შეეხებოდა კორუფციის პრევენციას შესყიდვებისას, ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელებას კაპიტალური ხარჯების გაწევისას, ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას ფინანსური და არაფინანსური მასალების წარდგენისას. გარდა ამისა,

[16] სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში კეთილსინდისიერებისა და ანტიკორუფციული პროგრამების დანერგვა წარმოადგენს OECD-ACN-ის მონიტორინგის მე-4 რაუნდის ფარგლებში საქართველოსთვის გაცემულ ერთ-ერთ რეკომენდაციას. OECD-ACN Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, 2016.

მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის შექმნის შესახებ, ამ სამსახურის ძირითადი ფუნქციების და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიმართ მათი მოთხოვნების შესახებ. ტრენინგი ასევე მოიცავდა ფინანსური აღრიცხვის საკითხს. ვინაიდან 2017 წლის მონაცემებით, სულ არსებობდა 123 სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმო, ტრენინგი ჩაუტარდა ნახევარზე მეტი საწარმოს თანამშრომლებს. ტრენინგები ასევე გაწერილია 2018 წლის განმავლობაშიც. *ინდიკატორი სრულად შესრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული.*

ინდიკატორი 3: ინფორმაცია პროაქტიულად გამოქვეყნებულია სააგენტოს ვებ-გვერდზე, მმართველი რგოლის სანქცირების სისტემა დანერგილია; ეთიკის სტანდარტები შემუშავებულია.

სამოქმედო გეგმის ინდიკატორის შესაბამისად სააგენტოს მიერ უზრუნველყოფილია **ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება სააგენტოს ვებ-გვერდზე.** უფრო მეტიც, სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად თავად საწარმოებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის გამოქვეყნებას და განსაზღვრული ყავთ საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირები. **მმართველი რგოლის სანქცირების სისტემას** ითვალისწინებს ახლად დანერგილი ეთიკის კოდექსები. შესაბამისად, ინდიკატორის საფუძველზე შედეგი მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

2018 წლის განმავლობაში განხორციელდა სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებში **ეთიკის სტანდარტის შემუშავება და დანერგვა,** შესაბამისად, შედეგი მიღწეულია.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.

შედეგი 9.4. საპრივატიზებო ობიექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გაზრდილია

ინდიკატორი 1: ელ. პორტალი გაშვებულია; განსაკარგავი ქონების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია პორტალზე; ელექტრონული სერვისები ხელმისაწვდომია

სააგენტოს ვებ-გვერდზე, რეგისტრაციის პროცესის მაქსიმალურად გამჭირვალედ წარმართვის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, განთავსდა ინფორმაცია (რუკაზე) სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში შედეგად აღმოჩენილი ქონების შესახებ. შესაბამისად ყველა დაინტერესებულ პირს აღნიშნული რუკის საშუალებით შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში აღრიცხული ქონების შესახებ, ხოლო ინვენტარიზაციის შედეგად აღრიცხულ მონაცემებში შესულ ქონებაზე უფლების დამდგენი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი

განცხადებით შეუძლია მიმართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ და დაარეგისტრიროს თავისი უფლება. გარდა ამისა, 2017 წლის პირველ ნახევარში შეიქმნა სახელმწიფო ქონების ერთიანი მართვის სისტემის (SPMS) სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სატესტო ვერსია. წლის მეორე ნახევარში განხორციელდა ტესტირების პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების/მოთხოვნების ანალიზი. მიმდინარეობს მათი შესწორების/დახვეწის პროცესი.

ინდიკატორი ნაწილობრივაა შესრულებული.

შედეგი 9.5. კორუფციული რისკების შემცირების მიზნით ადმინისტრაციული პროცესების ელექტრონიზაცია განხორციელებულია

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის განმავლობაში ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ ***არსებული საზედამხედველო ობიექტების აღრიცხვის და მათი პერიოდული ინსპექტირების ერთიანი მონაცემთა ბაზა-ელექტრონული უწყებრივი რეესტრი შექმნა და შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტი***. *ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.*

შედეგი 9.6. საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატის შესახებ ცნობადობა ამაღლებულია და მიმართვიანობის ხელმისაწვდომობა გაზრდილია.

ინდიკატორი 1: ბიზნესომბუდსმენის შეხვედრები საქართველოში მოქმედ ბიზნესგაერთიანებებისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრებთან გამართულია;

2017-2018 ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი მიღწევაა ბიზნესომბუდსმენის ერთ-ერთი პასუხისმგებელ უწყებად ჩართვა ანტიკორუფციულ პროცესებში.[17] ბიზნესომბუდსმენმა 2017 წლის განმავლობაში განახორციელა შეხვედრები ბათუმში ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და მათ ბიზნესომბუდსმენის საქმიანობის სპეციფიკა გააცნო. *ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.*

ინდიკატორი 2: ბიზნესომბუდსმენის აპარატის ელექტრონული პორტალი შექმნილია.

[17] ბიზნეს ომბუდსმენის ინსტიტუტის გაძლიერება და შესაბამისად მისი ცნობადობის ამაღლება წარმოადგენს OECD-ACN-ის მონიტორინგის მე-4 რაუნდის შეფასების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციას. OECD-ACN Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, 2016.

ბიზნესომბუდსმენმა შეიმუშავა პორტალი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის, რაც წარმოადგენს ელექტრონული კომუნიკაციის პლატფორმას ბიზნესომბუდსმენსა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შორის. თუმცა საანგარიშო პერიოდში ვერ მოესწრო აღნიშნული პორტალის გაშვება ონლაინ რეჟიმში. *ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.*

დასკვნა:

2017-2018 წლებში კერძო სექტორში კორუფციის პრევენციის საკითხში რამდენიმე უწყების ერთობლივი ჩართვა განაპირობებს მიზნის მიღწევის ეფექტურობას, იქიდან გამომდინარე, რომ კერძო სექტორში კორუფციის პრევენცია წარმოადგენს კომპლექსურ სფეროს. შესაბამისად, აქტივობების გათვალისწინება კონკურენციის, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებთან მიმართებით, ასევე ბიზნესომბუდსმენის აპარატის ჩართულობა მიზნის მიღწევისთვის აუცილებელია, განსაკუთრებით ბიზნესის კეთილსინდისიერების კუთხით.

მომავალში, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კერძო სექტორში ბიზნესის კეთილსინდისიერების რისკების კვლევასა და როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში ბიზნესის კეთილსინდისიერების თემაზე ცნობიერების ამაღლებას.



რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია დაიგეგმოს და განხორციელდეს სისტემატური ტრენინგები საჯარო მოხელეებისა და ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებისთვის ბიზნესის კეთილსინდისიერების კუთხით.

2. მნიშვნელოვანია, შემუშავდეს ბიზნესის კეთილსინდისიერების გაიდლაინები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის. ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიზნესის კეთილსინდისიერების სტანდარტების კუთხით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

3. მნიშვნელოვანია კონკურენციის სააგენტომ უზრუნველყოს კონკურენციის სამართლის საკითხებზე სისტემატური ტრენინგებისა და საჭიროების მიხედვით სასწავლო ვიზიტების ორგანიზება თანამშრომლებისათვის.

4. მნიშვნელოვანია ევროკავშირის კონკურენციის სამართლის საკითხებზე არსებული გადაწყვეტილებების (ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების) თარგმნა და ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ასევე გადაწყვეტილებებში გამოყენებული ინტერპრეტაციის სტანდარტების კანონზომიერი გამოყენება ბაზრის მოკვლევის პროცესში.

5. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მოხდეს ეთიკის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე ჩამოყალიბდეს სანქციების სისტემა ეთიკის სტანდარტების დარღვევისთვის.

6. მნიშვნელოვანია არსებობდეს ეთიკის სტანდარტების შემუშავების კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი და ამას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ რეკომენდაციის სახე.

7. მნიშვნელოვანია ბიზნესომბუდსმენის აპარატმა უზრუნველყოს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ინფორმირება ბიზნესომბუდსმენის მისიასა და ბიზნესისთვის ომბუდსმენთან დაკავშირების მექანიზმების შესახებ. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შეხვედრებზე მცირე და საშუალო ბიზნესთან.

8. მნიშვნელოვანია დასრულდეს მუშაობა ბიზნესომბუდსმენის აპარატის ელექტრონულ პორტალზე და მოხდეს მისი გაშვება ონლაინ რეჟიმში, იმისათვის რომ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს ჰქონდეთ ომბუდსმენთან ეფექტური დაკავშირების მექანიზმი.

პრიორიტეტი X. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში

შედეგი 10.1. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში კორუფციული რისკები შეფასებულია

ინდიკატორი: ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირების მიმართულებით გამოვლენილია ძირითადი კორუფციული რისკები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ მთავარ მიზნებს შორისაა ***ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებში, ასევე, შრომის პირობების დაცვის სფეროში, კორუფციული რისკების შეფასება, აგრეთვე ამ მიმართულებით მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა***.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა, მათ შორის, სამინისტროს შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელდა ***საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების და მონიტორინგის მექანიზმების შესწავლა,*** რათა ნათლად გამოვლენილიყო შესაძლო კორუფციული რისკები. შესწავლის საფუძველზე გაცემულ იქნა რეკომენდაციები, რომელთა შესაბამისად, დაიხვეწა პროგრამის კონტროლისა და რევიზიის პირობებ.[18] ასევე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ადმინისტრირების დახვეწის მიზნით, განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები, რაც აისახა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N486 და 2017 წლის 28 დეკემბრის N577 დადგენილებებში. 2017 წელს ჩატარდა ჯანდაცვის უტილიზაციისა და დანახარჯების კვლევაც, რომლის შედეგები გათვალისწინებულ იქნა 2018 წლის სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისას, რაც მნიშვნელოვნად აზღვევს კორუფციულ რისკებს.

ინდიკატორი შესრულდა სრულად.

შედეგი 10.2. საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში კორუფციული რისკების შემცირების მიზნით მომსახურების ანაზღაურების მექანიზმები გაუმჯობესებულია

ინდიკატორი: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯთეფექტიანობა 2016 წლის მონაცემებთან შედარებით გაზრდილია 0.5%-ით.

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მომსახურების ანაზღაურების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მომსახურების შესყიდვის მექანიზმების ანალიზი და აღნიშნულის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა რეკომენდაციები. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, 2017 წლის დასაწყისში მომზადდა სელექტიური კონტაქტის ტიპიური პროექტი. სამინისტრომ სელექციური კონტაქტირების მექანიზმების დანერგვა დაიყო ეტაპობრივად. აღნიშნული პროცესი გრძელდება და მიმდინარეობს მუშაობა მთელი რიგი სერვისებისთვის სელექციის კრიტერიუმების შემუშავებაზე.

[18] საქართველოს მთავრობის 2015 წლის 22 ოქტომბრის N 544 დადგენილება.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს 2016 წელთან შედარებით გაიზარდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯთეფექტიანობა. კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ანაზღაურების მექანიზმების დახვეწის შედეგად შემცირდა სადავო და ანაზღაურებას არ დაქვემდებარებული თანხების ხვერდითი წილი. 2016 წელს შეადგენდა პროგრამის ბიუჯეტის 4.7%-ს; 2017 წელს - 4.23%-ს.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.

შედეგი 10.3. სოციალურ სფეროში კორუფციული რისკების შემცირების მიზნით მოსახლეობის ინფორმირებულობა გაზრდილია

ინდიკატორი: 2018 წლისთვის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცესის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა გაზრდილია; მინდობითი აღზრდის ახალი სტანდარტით შეფასებული მიმღები ოჯახების მაჩვენებელი არანაკლებ 10%. დღეის მდგომარეობით, 711 მიმღებ ოჯახში განთავსებულია 1456 ბავშვი. ამ ოჯახებიდან სამინისტროს მონიტორინგის სამმართველოს მიერ გადამოწმებულია 36 ოჯახი და 2018 წლის ბოლომდე დაგეგმილია კიდევ 40 ოჯახის გადამოწმება. წლის ბოლოსთვის გადამოწმებული იქნება 76 ოჯახი, რაც შედგენს საერთო რაოდენობის - 10.68%-ს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შედეგი 10.4. კორუფციული რისკები შეფასებულია შრომის პირობების დაცვის სფეროში

ინდიკატორი: საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან შემცირებულია განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობა

შრომის პირობების დაცვის მიზნით, შეიქმნა საზოგადოებრივი ზედამხედველობის საბჭო, რომლის მიზანია ***შრომის პირობების დაცვის სფეროში კორუფციის რისკების შეფასება, გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.*** საბჭოს შემადგენლობაში შედიან ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის თანამდებობის პირები, ასევე, საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, სოციალური პარტნიორების წარმომადგენლები, ექსპერტები და მეცნიერები. 2017 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა საქართველოს მთავრობის №627 დადგენილების საფუძველზე, სადაც შრომის პირობები მოიცავდა მხოლოდ შრომის უსაფრთხოების მიმართულებას. დაწესებულებაში ინსპექტირების განხორციელება იყო

ნებაყოფლობითი და საჭიროებდა დამსაქმებლის წინასწარ თანხმობას. **2018 წლის იანვარ-ნოემბრის მონაცემებით შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტში დაფიქსირდა 14 განცხადება/საჩივარი.** 2017 წელს ინსპექტირების პროგრამა ატარებდა ნებაყოფლობით ხასიათს, არ არის აღრიცხული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან შემოსული განცხადებებისა და საჩივრების რაოდენობა, შესაბამისად 2018 წლის მონაცემების შედარება წინა წლების მონაცემებთან შეუძლებელია და ვერც შედეგის შეფასება მოხდება.

ინდიკატორი არ შესრულდა.



ჯანდაცვის და სოციალურ სექტორში კორუფციის პრევენციის მიზნით გათვალისწინებული იყო 4 შედეგის 4 ინდიკატორი, საიდანაც 2018 წლის ბოლოს 3 ინდიკატორი სრულად შესრულდა ხოლო 1 ინდიკატორი არ შესრულებულა. ეფექტურობისა და განხორციელების პარამეტრებზე დაყრდნობით, უნდა აღნიშნოს, რომ ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროში კორუფციის პრევენციის მიზნით განხორციელებული აქტივობები ემსახურებოდა ჯანდაცვის სფეროში კორუფციული რისკების შეფასებას, ასევე მომსახურების ანაზღაურების მექანიზმების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ გაიზარდა სოციალურ სფეროში კორუფციული რისკების შემცირებაში მოქალაქეთა ჩართულობა. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს რომ მე-10 პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულმა აქტივობებმა განაპირობა ჯანდაცვის სფეროში ეფექტური ნაბიჯების გადადგმა.

რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სელექციური კონტრაქტირების მექანიზმების დანერგვა გაგრძელდეს საქართველოს მასშტაბით გეგმით გათვალისწინებული ყველა მიმართულებით, მათ შორის, მშობიარობა და საკეისრო კვეთა.

პრიორიტეტი XI. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია

შედეგი 11.1. პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო სუბიექტების დაფინანსების და საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხების ერთგვაროვანი სამართლებრივი ბაზა ჩამოყალიბებულია OECD-ACN-ისა და GRECO-ს მესამე რაუნდის შესრულების შეფასების ანგარიშის გათვალისწინებით.

ინდიკატორი: საარჩევნო კოდექსში და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებები წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

პოლიტიკური კორუფციის პრევენციის მიმართულებით მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს OECD-ACN-ისა და GRECO-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით საარჩევნო სუბიექტების დაფინანსებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ერთიანი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბების მიზნით საარჩევნო კოდექსისა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონის ანალიზი. მისასალმებელია, რომ აღნიშნული ორი კანონის ანალიზის საფუძველზე მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობის და მათში გამოყენებული სანქციების ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად, ადმინისტრაციული რესურსის არასათანადო გამოყენების თავიდან ასაცილებლად, ანგარიშვალდებულების ხელშეწყობისა და საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯების გამჭვირვალობის გაზრდისათვის. მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები სრულად უზრუნველყოფს OECD-ACN-ისა და GRECO-ს რეკომენდაციების შესრულებას. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვერ მოხერხდა საკანონმდებლო პარლამენტში წარდგენა, რაც 2017 წლის მეორე ნახევრის სამიზნეს წარმოადგენდა.

შესაბამისად, ინდიკატორი ნაწილობრივაა შესრულებული.

ინდიკატორი 2: GRECO-ს და OECD-ACN-ის რეკომენდაციების შესრულების პოზიტიური შეფასება.

რამდენადაც საკანონმდებლო ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ მათი შეფასება ვერ მოხდა, ამიტომ შედეგი მიღწეული არ არის.

ინდიკატორი არ შესრულდა.

შედეგი 11.2. საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისა და ხარჯების გამჭვირვალობა გაზრდილია და ანგარიშვალდებულება

ინდიკატორი: პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების საფინანსო დეკლარაციების ხელმისაწვდომია; საკანონმდებლო დონეზე ხარვეზები აღმოფხვრილია და შესაბამისი რეგულაციები მიღებულია.

პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის ფარგლებში მისასალმებელია ელექტრონული დეკლარირების პროგრამის ამოქმედება და სახელმწიფო აუდიტის ოფიციალურ ვებგვერდზე შემოწირულობების ძიების ელექტრონული შესაძლებლობის დამატება. იუსტიციის სამინისტროსა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან თანამშრომლობით მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდას ითვალისწინებს, დადგინდა აუდიტის სამსახურის მიერ პარტიების ფინანსური ანგარიშების ვებგვერდზე გამოყენების ვადებიც.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.



ეფექტურობისა და განხორციელების პარამეტრების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კორუფციის პრევენციის მიზნით, სამოქმედო გეგმა მთავარ ამოცანად განსაზღვრავდა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების იმპლემენტაციასა და საარჩევნო სუბიექტების და პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის გაზრდას. უდავოა, რომ OECD-ACN-ისა და GRECO-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ერთიანი სამართლებრივი ბაზის შექმნა წარმოადგენს პოლიტიკური კორუფციის დაძლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს. შესაბამისად, მიუხედავად საკანონმდებლო ბაზაზე მუშაობის გაგრძელების აუცილებლობისა, მიზნის მისაღწევად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები ეფექტურად უნდა მივიჩნიოთ.

რეკომენდაცია:

საარჩევნო კოდექსისა და მოქალაქეთა გაერთიანების შესახებ კანონის ცვლილებები დასამტკიცებლად წარედგინოს მთავრობას.

პრიორიტეტი XII. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში

შედეგი 12.1. ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით თავდაცვის სექტორის ტრანსფორმაციის პროცესი განხორციელებულია

ინდიკატორი: ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით თავდაცვის სამინისტროს ტრანსფორმაციის პროცესი დაწყებულია, ოპტიმიზაცია და სტრუქტურული ცვლილებები განხორციელებულია, შესაბამისი კონცეპტუალური ბაზა განახლებულია.

აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით თავდაცვის სამინისტროს მიერ ***შემუშავდა თავდაცვის ტრანსფორმაციის ინტეგრირებული სამოქმედო გეგმა 2017-2020.*** სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ოპტიმიზაციის პროცესი უკვე დასრულებულია და განხორციელებულია სტრუქტურული ცვლილებები. ამ ეტაპზე კი მიმდინარეობს ტრანსფორმაციის პროცესი და შესაბამისი კონცეპტუალური ბაზის განახლება. შესაბამისად, აღნიშნულ ინდიკატორზე დაყრდნობით შედეგი ნაწილობრივ მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.

შედეგი 12.2. ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების გამართული სისტემა შექმნილია

ინდიკატორი: პროგრამული ბიუჯეტის შესამუშავებლად მითითებები და რეკომენდაციები განსაზღვრულია, თავდაცვის სამინისტროს რესურსების მართვის სისტემა შესაბამისობაშია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემასთან.

აღნიშნული შედეგების მიღწევისთვის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ღონისძიებებს, მათ შორის, **რესურსების მართვის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია.** ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში შემუშავდა თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო 2019-2022, რომელიც განსაზღვრავს საჭირო მითითებებსა და რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის. დამტკიცდა ფინანსური მართვისა და კონტროლის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების განაწილების წესი; შრომის ანაზღაურებისა

და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის გაწევისა და აღრიცხვის ინსტრუქცია; [19] მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების ინვენტარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში **ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების სისტემის შექმნის მიზნით** თავდაცვის სამინისტრო მუშაობდა რესურსების ინსტიტუციონალიზაციის კუთხით, რაც მოიცავს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის საპილოტე პროგრამის განხორციელებასა და სააღრიცხვო-საფინანსო პოლიტიკის შემუშავების პროცესს.

პროგრამული ბიუჯეტის პროექტი შემუშავებულია. პროექტის მომზადების განმავლობაში მიმდინარეობდა თანამშრომლობა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განმახორციელებელ ყველა რგოლთან ფინანსური ინფორმაციის გაცვლის, ანგარიშგებისა და ბიუჯეტის შესრულების ანალიზის მიზნით. სამოქმედო გეგმის თანახმად **თავდაცვის სამინისტროს რესურსების მართვის სისტემა შესაბამისობაში უნდა იყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემასთან.** უწყების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლი, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია საკმარისი არ არის ინდიკატორის საფუძველზე შედეგის გაზომვისთვის.

ინდიკატორი ნაწილობრივაა შესრულებული.

შედეგი 12.3. საპარლამენტო ზედამხედველობა გაზრდილია

ინდიკატორი: თავდაცვის სამინისტროს რეფორმების დაგეგმვის, მათი მიმდინარეობის და მიღწეული შედეგების შეფასების პროცესში საქართველოს პარლამენტის მონაწილეობა უზრუნველყოფილია.

საპარლამენტო ანგარიშვალდებულება კორუფციის პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა, ამიტომაც სამოქმედო გეგმა ერთ-ერთ ღონისძიებად **პარლამენტისთვის პერიოდული ანგარიშების წარდგენას** ითვალისწინებს. ამ მიზნით თავდაცვის სამინისტრო პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს წელიწადში არანაკლებ ერთხელ წარუდგენს მოხსენებას სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ. სამინისტრო კომიტეტს აგრეთვე წარუდგენს ინფორმაციას იმ არასაიდუმლო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, რომლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 (ორ მილიონ) ლარს, ხოლო შესასყიდი სამშენებლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 4 000 000 (ოთხ მილიონ) ლარს.

[19] მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს N655 ბრძანება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო (მათ შორის ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ) პირთა შრომის ანაზღაურებისა და სოციალური უზრუნველყოფის მუხლებით ხარჯის გაწევისა და აღრიცხვის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შედეგი 12.4. თავდაცვის სამინისტროს შიდა მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულების ეფექტიანობა გაზრდილია

ინდიკატორი: შიდა მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულების ეფექტური ფუნქციონირება უზრუნველყოფილია

შიდა მაკონტროლებელი სტრუქტურული ერთეულების ეფექტური ფუნქციონირების მიზნით შემუშავებულია შიდა მაკონტროლებლების (გენერალური ინსპექცია, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი, გენერალური შტაბის საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგის სამმართველო) თანამშრომლობის ფორმატი, რაც უზრუნველოყოფს შიდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების ეფექტურ გადანაწილებას. ასევე, სამხედრო პოლიციის სტრუქტურული რეორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდა ოპერატული ქვედანაყოფების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, სამხედრო პოლიციის ბატალიონები მთლიანად დაკომპლექტდა სამხედრო მოსამსახურეებით, ასევე განხორცილდა ბატალიონების სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შედეგი 12.5. შესყიდვების სფეროში კორუფციული რისკები შემცირებულია

ინდიკატორი: შესყიდვების დაგეგმვისა და ადმინისტრირების მარეგულირებელი შიდა რეგულაციები და დოკუმენტაცია გაუმჯობესებულია; გადაუდებელი და საიდუმლო შესყიდვების მაჩვენებელი შემცირებულია.

შესყიდვების დაგეგმვისა და ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა რეკომენდაციები, რომელთა იმპლემენტაცია დაგეგმილია თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ძალაში შესვლის შემდგომ. ჩატარებულია ნატოს წევრი ქვეყნებისა და ქართული სახელმწიფო შესყიდვების გამოცდილების ანალიზი და ინიცირებულია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა. საანგარიშო პერიოდში მოხდა ნატოს შესყიდვების ორგანიზაციასთან თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმების რატიფიცირება.

უწყების მიერ 2016 წელს გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმდა 116 შესყიდვის ხელშეკრულება. სამდივნოს მოთხოვნის მუხედავად უწყებამ არც 2017 და არც 2018 წელს არ წარმოადგინა ამგვარად გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

სამინისტრომ დაიწყო მუშაობა ***თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს შესყიდვების კანონის ან განკარგულების პროექტის*** შემუშავებაზე. თუმცა კანონპროექტი ჯერ არ არის შემუშავებული.

კანონპროექტის/განკარგულების პროექტის ტექსტში თავდაცვის სექტორში გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით, ***მიზანშეწონილია თავდაცვის სამინისტრომ გაითვალისწინოს ეთიკის სტანდარტების შემუშავების ვალდებულება მიმწოდებელი კომპანიებისთვის.***[20]

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულებულად შეიძლება ჩაითვალოს.

შედეგი 12.6. თავდაცვის სისტემის პერსონალის ცნობიერება კორუფციის, მისი გამომწვევი მიზეზების, შედეგებისა და პრევენციის გზების შესახებ ამაღლებულია

ინდიკატორი: კორუფციის, მისი გამომწვევი მიზეზების, შედეგებისა და პრევენციის გზების საკითხების შესახებ ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა გაზრდილია; ტრენინგებში მონაწილე პირთა რაოდენობა გაზრდილია.

თავდაცვის სისტემის პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2017 წლის განმავლობაში თავდაცვის ინსტიტუციურ აღმშენებლობის სკოლაში პერიოდულად იმართებოდა ***კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების კურსები*** სამხედრო მოსამსახურეებისა და თავდაცვის სამინისტროსა და უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისა და თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებისთვის. შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნისა და სამხედრო განათლების სარდლობის მომართვის საფუძველზე, თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის მიერ მე-11 ბატალიონის გადასროლის წინა მომზადების ფარგლებში ჩატარდა ტრეინინგი საბრძოლო ოპერაციების დროს კორუფციის რისკების შემცირების შესახებ.

კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის რისკების შემცირების კურსის ჩატარება მოითხოვდა ნატოს ჩართულობას, ამიტომ, ნატოს რეკომენდაციით, კურსის ჩატარება გადაიდო 2018 წლის I ნახევრისათვის. მიუხედავად ამისა, თავდაცვის სამინისტროს ოთხმა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ნატოს მიერ გერმანიაში, გამართულ კეთილსინდისიერების ამაღლებისა და კორუფციის შემცირების კურსში. ასევე თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მიწვეულ იყვნენ უკრაინაში კორუფციის კვირეულზე,

[20] იხ. Building integrity and reducing corruption in defence, NATO's compendium of best practices: https://www.nato.int/nato_static/assets/pdf/pdf_topics/20120607_BI_Compendium_EN.pdf.

რომლის ფარგლებში გაიმართა დებატები თავდაცვის სექტორში კორუფციის რისკების შემცირების საკითხებზე.

სამინისტროს არ წარმოუდგენია ინფორმაცია 2017 და 2018 წლებში დატრენინგებულ პირთა რაოდენობაზე იმისათვის, რომ მოხდეს რაოდენობების შედარება. *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულებულად უნდა ჩაითვალოს*, ვინაიდან განხორციელდა ქმედებები დატრენინგებულ პირთა რაოდენობის გაზრდის მიზნით.

შედეგი 12.7. თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული რეფორმების ეფექტიანობა გაზრდილია

ინდიკატორი: თავდაცვის სამინისტროს მიერ გასაჯაროებული ინფორმაცია დაგეგმილი, მიმდინარე და განხორციელებული რეფორმების შესახებ. თავდაცვის სამინისტროსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებული სამუშაო შეხვედრებისა და სხვა სახის ერთობლივი ღონისძიებების რაოდენობის გაზრდა; სამოქალაქო სექტორის შეფასებები სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ.

თავდაცვის სამინისტროში განხორციელდა საჯარო ინფორმაციის დამუშავების და გაცემის ერთიანი, გაუმჯობესებული სტანდარტის ჩამოსაყალიბებელი ღონისძიებები. კერძოდ, სამინისტროს სისტემაში განხორციელდა საჭიროებების შეფასება და მიღებული შედეგების შესაბამისად ჩატარდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ცნობიერების ასამაღლებელი ტრენინგები. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის ფორმასთან დაკავშირებული ხარვეზების დასახვეწად. საჯარო ინფორმაციის სამმართველო სამინისტროში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა ანალიზის საფუძველზე ახდენს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის იდენტიფიცირებას გამოქვეყნებას. თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა და გამოსცა გაზეთის „ქართული ჯარი“ 11 ნომერი როგორც ქართულ, ისე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

რეფორმების შემუშავებისა და განხორციელება-შეფასების პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა კორუფციის პრევენციის ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა. მოქალაქეთა წინაშე ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვის მიზნით თავდაცვის საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელი პირები აქტიურად ხვდებოდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს.[21] სამინისტროსა და გენერალური შტაბის წარმომადგენლები პერიოდულად ხვდებიან სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს სამინისტროს პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით. თავდაცვის სამინსიტროს შესაბამისმა თანამშრომლებმა გაიარეს სტრატეგიული კომუნიკაციების კურსი.

[21] 2017-2018 წლებში 17 შეხვედრა ჩატარდა, რომელთა უმრავლესობას პირადად მინისტრი მასპინძლობდა.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

თავდაცვის სფეროში კორუფციის პრევენციის კუთხით გათვალისწინებულია შვიდი შედეგი და შვიდი ინდიკატორი, საიდაც უმეტესობა შესრულდა ნაწილობრივ. აღსანიშნავია, თავდაცვის სფეროს შესყიდვებში განხორციელებული რეფორმები და თავდაცვის სფეროში დასაქმებული პირების ანტიკორუფციულ თემებზე ცნობიერების ამაღლება პირდაპირ კავშირშია თავდაცვის სფეროს გამჭვირვალობის გაზრდასთან. პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებული აქტივობები ემსახურება შესყიდვების სისტემის დახვეწასა და ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების სისტემის შექმნას, ასევე ანტიკორუფციული თემატიკაზე ტრენინგების განხორციელებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავდაცვის სფეროში კორუფციული რისკების შეფასების კუთხით მუშაობის გაგრძელებას.



რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემისა და ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის პრაქტიკაში დანერგვა.

2. მნიშვნელოვანია თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს შესყიდვების კანონპროექტი.

3. მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას გადაუდებელი და საიდუმლო შესყიდვების მაჩვენებელის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

პრიორიტეტი XIII. კორუფციის პრევენცია მარეგულირებელ ორგანოებში

შედეგი 13.1 დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების თანამშრომლების დანიშვნის, დაწინაურებისა და გათავისუფლების პროცედურები დახვეწილია; ანაზღაურების გამჭვირვალე სისტემა დანერგილია

ინდიკატორი: აპარატის თანამშრომელთა დანიშვნის, დაწინაურებისა და გათავისუფლების შესახებ ცვლილებები შეტანილია შესაბამის სამართლებრივ აქტებში; შემუშავებულია/დახვეწილია აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურების ერთიანი სამართლებრივი აქტი.

აპარატის თანამშრომელთა დანიშვნის, დაწინაურების და გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმების დახვეწა საჭიროებისამებრ. ამ მიზნით საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ თანამშრომელთა დანიშვნისა და კონკურსის ჩატარების წესები შეიმუშავა, რომელიც ხელმისაწვდომია მის ოფიციალურ ვებგვერდზე. თანამშრომელთა გათავისუფლების პროცედურაზე ვრცელდება საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნები, რომელიც საანგარიშო პერიოდში განახლდა. კომისიამ შეიმუშავა სტრუქტურული ერთეულების შეფასების ძირითადი ინდიკატორები. შესამაბისად, შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურებისა და წახალისების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებები გადავადდა და, შესაბამისად, შედეგი მიღწეული არ არის.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

შედეგი 13.2. დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების საქმიანობის გამჭვირვალობა გაზრდილია

ინდიკატორი: მარეგულირებელი კომისიების საქმიანობის ანგარიშები ქვეყნდება რეგულარულად; ვებ-გვერდი ახლდება რეგულარულად; საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება.

სამოქმედო გეგმის თანახმად **მარეგულირებელი კომისიების საქმიანობის ანგარიშები რეგულარულად უნდა ქვეყნდებოდეს.** ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ კომისიების ვებგვერდების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია 2005 წლიდან ყოველ წელს აქვეყნებს საქმიანობის ანგარიშებს,[22] ამასთან, კომისიის ანგარიშები სტატისტიკური მონაცემებისა და ინფოგრაფიკების სიმრავლით, რაც ანგარიშებს მარტივად კითხვადს ხდის. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს ენერგეტიკისა და

[22] ანგარიშები იხილეთ ბმულზე.

წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაზეც, რომელიც 1999 წლიდან ყოველ წელს აქვეყნებს საქმიანობის ანგარიშებს, ამასთან კომისია ცალკე აქვეყნებს ფინანსურ ანგარიშებს. [23] შესაბამისად, ინდიკატორზე დაყრდნობით შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი ინდიკატორის მიხედვით **ეროვნული მარეგულირებელი კომისიების ვებგვერდები რეგულარულად უნდა ახლდებოდეს.** ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ კომისიების ვებგვერდების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ორივე კომისია რეგულარულად აქვეყნებს საქმიანობის ანგარიშებს და განახლებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, ამიტომ შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

სამოქმედო გეგმის თანახმად **მარეგულირებელი კომისიების მიერ საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად უნდა ქვეყნდებოდეს.** ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ კომისიების ვებგვერდების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ეროვნული კომისიები ყოველ წელს აქვეყნებენ საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშებს, საჯარო სხდომების განრიგს, დღის წესრიგებს, შედეგებსა და შინაარსს, ტენდერებისა და შესყიდვების შესახებ ინფორმაციას და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია შედეგის მიღწევაზე მიუთითებს.

ამდენად, ინდიკატორი სრულად შესრულდა.

შედეგი 13.3. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტი გაძლიერებულია

ინდიკატორი 1: მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველთან შემოსული და განხილული საჩივრების თანაფარდობა; მომხმარებელთა ინტერესების დამცველის ანგარიშები ქვეყნდება პერიოდულად.

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული კიდევ ერთი ინდიკატორია **მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველთან შესული და განხილული საჩივრების თანაფარდობა.** ამ ინდიკატორთან დაკავშირებით უწყებამ მიუთითა, რომ ინფორმაცია ვებგვერდზე ქვეყნდება წლიურ და კვარტალურ ანგარიშებში. სამდივნომ 2017 წლის სრული და 2018 წლის სამი კვარტლის მონაცემების მოპოვება შეძლო, რომელთა მიხედვით შესული საჩივრების 100%-ზე იქონია რეაგირება სამსახურმა. შესული საჩივრების 100% იქნა განხილული წინა წლებშიც, რაც ამ კუთხით საზოგადოებრივი დამცველის ეფექტიანობაზე მიუთითებს. შესაბამისად, ინდიკატორის მიხედვით შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

[23] ანგარიშები იხილეთ ბმულზე.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი ინდიკატორის მიხედვით **მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ანგარიშები უნდა ქვეყნდება პერიოდულად.** ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ საზოგადოებრივი დამცველის ვებგვერდის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სამსახური რეგულარულად აქვეყნებს საქმიანობის წლიურ და საჩივრებთან დაკავშირებულ კვარტალურ ანგარიშებს. შესაბამისად, ინდიკატორის მიხედვით შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ამდენად, ინდიკატორი სრულად შესრულდა.

ინდიკატორი 2: მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის თანამშრომელთა დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ ცვლილებები შეტანილია შესაბამის სამართლებრივ აქტებში.

სამოქმედო გეგმის თანახმად **მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის თანამშრომელთა დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ ცვლილებები შეტანილი უნდა იყოს შესაბამის სამართლებრივ აქტებში.** ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ მიღებული ინფორმაციის მიხედვით ცვლილებები ჯერ მიღებული არ არის, ამიტომ, შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

მარეგულირებელ ორგანოებში კორუფციის პრევენციის პრიორიტეტის ნაწილში გამოწვევებად რჩება აპარატის თანამშრომელთა ანაზღაურებისა და წახალისების გამჭირვალე და ობიექტური სისტემის დანერგვა და მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის თანამშრომელთა დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ ცვლილებების შეტანა შესაბამის სამართლებრივ აქტებში. შესაბამისად, აუცილებელია, აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა 2017-2018 წლების შეუსრულებელი ვალდებულებებისა და ახალი აქტივობების დაგეგმვისა და შესრულების კუთხით.



რეკომენდაციები

რეკომენდებულია დროულად დასრულდეს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის თანამშრომელთა დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ ცვლილებებზე მუშაობა.

პრიორიტეტი XIV. კორუფციის პრევენცია სპორტის სფეროში

შედეგი 14.1 შემცირებულია სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებისა და გარიგების შემთხვევები და გაუმჯობესებულია სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებისა და გარიგების გამოვლენის სისტემა

ინდიკატორი: სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებისა და გარიგებული თამაშების გამოვლენილი რაოდენობა

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ მოიცავს მანიპულაციებისა და გარიგებული თამაშების გამოვლენილ რაოდენობას, ამიტომ შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორი არ შესრულდა.

შედეგი 14.2 სპორტის სფეროში ანტიკორუფციული კუთხით საერთაშორისო თანამშრომლობა გაძლიერებულია

ინდიკატორი: გაძლიერებულია საერთაშორისო თანამშრომლობა სპორტის სფეროში კორუფციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სპორტის სფეროში კორუფციის აღმოფხვრის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების კუთხით. სამინისტრო მონაწილეობას იღებდა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივ პროგრამაში "სპორტი დანაშაულის გარეშე" (Keep Crime Out Of Sport), რაც გულისხმობდა სამინისტროს თანამშრომლების მონაწილეობას სასწავლო ვიზიტში.

უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო კოორდინირებას უწევს ***ევროპის საბჭოს კონვენციის სპორტში მანიპულაციებთან დაკავშირებით*** რატიფიკაციის პროცესს. კონკრეტულად, სამინისტროს ორგანიზებით, შემუშავების პროცესშია საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც რატიფიკაციის შესახებ ინიციატივას უნდა დაერთოს თან.

ამასთან, ლონდონის ანტიკორუფციულ სამიტზე აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით,[24] სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გადადგა კონკრეტული ნაბიჯები სპორტში კეთილსინდისიერების შესახებ საერთაშორისო პარტნიორობაში (International Sport Integrity Partnership) საქართველოს გაწევრიანების კუთხით. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ დაიწყო მოლაპარაკებები EPAS-თან (ევროპის საბჭოს გაფართოებული წილობრივი შეთანხმება სპორტში), რომელიც წარმოადგენს აღნიშნული პარტნიორობის ერთ-ერთ მთავარ კოორდინატორს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

სპორტის სექტორში კორუფციის პრევენცია 2017-2018 წლების ინოვაციას წარმოადგენს. 2017 წელს გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები საქართველოს სპორტში კეთილსინდისიერების შესახებ საერთაშორისო პარტნიორობაში გაწევრიანების კუთხით, რაც 2016 წლის ლონდონის სამიტის ფარგლებში აღებულ ერთ-ერთ ვალდებულების შესრულებას ემსახურება. შესაბამისად, 2017 წლის შეფასებით გამოიკვეთა სპორტის სფეროში განხორციელებული აქტივობების ეფექტურობა კორუფციის პრევენციის მიზნით. უნდა ასევე აღინიშნოს 2017-2018 წელს სპორტული დანაშაულების გამოვლენის საკოორდინაციო მექანიზმის გაუმჯობესება. თუმცა, არ შეფასებულა აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობა სპორტული დანაშაულების გამოვლენის დინამიკასთან მიმართებით. მნიშვნელოვანია მოხდეს გამოვლენილი სპორტული დანაშაულების სტატისტიკის შემუშავება და ამ მაჩვენებლის წინა წლებთან შედარება, იმისათვის რომ შეფასდეს საკოორდინაციო მექანიზმის ეფექტურობა.



[24] Anti-Corruption Summit - London 2016 Georgia Country Statement.

რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია შეფასდეს სტატისტიკა მანიპულაციებისა და გარიგებული თამაშების რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებით.

2. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშობა ევროპის საბჭოს კონვენციის სპორტში მანიპულაციებთან დაკავშირებით რატიფიკაციის მიმართულებით.

3. მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა საქართველოს სპორტში კეთილსინდისიერების შესახებ საერთაშორისო პარტნიორობაში გაწევრიანების კუთხით.

პრიორიტეტი XV. კორუფციის პრევენცია ინფრასტრუქტურულ პროექტებში

სიახლეა ინფრასტრუქტურულ პროექტებში კორუფციის პრევენციის 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა. შესაბამისად, მოქმედ სამოქმედო გეგმაში ამ მიმართულებით ანტიკორუფციული ღონისძიებები მეტად მწირია და სამომავლო სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მიზანშეწონილია საკითხის მეტად სიღრმისეული დაფარვა.

შედეგი 15.1. ინფრასტრუქტურული პროექტების გამჭვირვალე და ეფექტური მართვა

ინდიკატორი 1: საბიუჯეტო რესურსის ოპტიმალური განაწილების მიზნით პროექტების შერჩევის გაუმჯობესებული კრიტერიუმების გამოყენება მოხდა 5 პროექტში.

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ამ ეტაპზე გაუმჯობესებული მეთოდოლოგიით პროექტების შერჩევა მიმდინარეობს ორ საპილოტე მუნიციპალიტეტში (გორი და ზუგდიდი), სადაც პროექტების რაოდენობა 5-ზე გაცილებით მეტია. ამ ინდიკატორის მიხედვით შედეგი შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

ინდიკატორი 2: სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ მომზადებულია საინფორმაციო ბაზა, რომელიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი ინდიკატორია **სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ საინფორმაციო ბაზის მომზადება და მისი საჯაროდ ხელმისაწვდომობა.** მართალია, საინფორმაციო ბაზა მომზადდა, თუმცა მისი გასაჯაროვება ჯერ არ მომხდარა, შესაბამისად, ჯერ-ჯერობით შედეგი მიღწეულია მხოლოდ ნაწილობრივ.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

ინდიკატორი 3: ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის საკითხებზე ჩატარებულია ტრენინგები თანამშრომლებისთვის.

სამოქმედო გეგმის ინდიკატორის მიხედვით **ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის, დაგეგმვისა და მონიტორინგის საკითხებზე თანამშრომლებისთვის ჩატარებული უნდა იყოს ტრენინგები**. მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით აღნიშნულ თემაზე საანგარიშო პერიოდში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მისი საქვეუწყებო დაწესებულებების თანამშრომლებს ჩაუტარდათ თემატური ტრენინგები. ამასთან, ტრენინგების ჩატარება მომავალშიც დაგეგმილია. აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებული შედეგი შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

ინდიკატორი 4: საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ანგარიშები მომზადებულია და საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ინდიკატორის თანახმად **საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელების ანგარიშები მომზადებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი** უნდა იყოს. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ აღნიშნული ანგარიშების მოძიება შეძლო სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, ამიტომ, შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

შედეგი 15.2. ეთიკის პრინციპების დაცვის მონიტორინგი

ინდიკატორი: ეთიკის სფეროში არსებული რეგულაციების იმპლემენტაციის კონტროლის მექანიზმები დანერგილია.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი ინდიკატორის თანახმად დანერგილი უნდა იყოს **ეთიკის სფეროში არსებული რეგულაციების იმპლემენტაციის კონტროლის მექანიზმები.** ამ მხრივ, სამინისტროში შექმნილია ინსპექტირებისა და მონიტორინგის სამმართველო, რომელიც შეისწავლის სამინისტროს, სამინისტროს სისტემაში შემავალ და მართვაში არსებულ სუბიექტებში დასაქმებული პირების მხრიდან ეთიკის წესების შესაძლო დარღვევის ფაქტებს და ზრუნავს მათი ცნობიერების ამაღლებაზე. აღნიშნული სამმართველოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განხილულ იქნა სამინისტროს, სამინისტროს სისტემაში შემავალ და მართვაში

არსებულ სუბიექტებში დასაქმებული პირების მხრიდან ეთიკის წესების შესაძლო დარღვევის სამი ფაქტი, რომელთაგანაც დადასტურდა მხოლოდ ერთი. შესაბამისად, აღნიშნული შედეგიც მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

საერთო ჯამში, მე-15 პრიორიტეტის ქვეშ გათვალისწინებული ხუთი შედეგის ინდიკატორიდან ოთხი ინდიკატორით შედეგი სრულად მიღწეულია. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო მიესალმება პასუხისმგებელი უწყების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების პირნათლად შესრულებას და მოუწოდებს მას, რომ აქტიურად განაგრძოს მუშაობა 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.



რეკომენდაციები:

- ***მნიშვნელოვანია 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ საინფორმაციო გაზის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.***

პრიორიტეტი XVI. კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში

შედეგი 16.1. ღია მმართველობის სტანდარტები დანერგილია

ინდიკატორი: ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ღია მმართველობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავებულია და განხორციელება მიმდინარეობს

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ღია მმართველობის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა შემუშავდა და განხორციელება მიმდინარეობს. სტრატეგიული დოკუმენტები მიღებულია და მიმდინარეობს მათი განხორციელება, ამიტომ შედეგი შეიძლება შესრულებულად ჩაითვალოს.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

შედეგი 16.2. კორუფციული რისკების გამოვლენაში მოქალაქეების ჩართულობა უზრუნველყოფილია

ინდიკატორი: საკრებულოსა და მერიის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციური მექანიზმი ჩამოყალიბებულია

ქალაქ რუსთავის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გაძლიერების მიზნით, შემუშავდა საბჭოს დებულება. მოსახლეობამ თავად აირჩია თავისი წარმომადგენლები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში, ამ პროცესში 500-მდე ადგილობრივი მოსახლე მონაწილეობდა. 2017 წლის ოქტომბრის ბოლოდან კი საბჭომ დაიწყო ქალაქ რუსთავის 2018 წლის ბიუჯეტისთვის რეკომენდაციების შემუშავება. რეკომენდაციების პაკეტი გადაეცა მუნიციპალიტეტის მერიას.

ინდიკატორი სრულად შესრულდა.

შედეგი 16.3 მუნიციპალური სერვისების მიწოდების მიმართულებით კორუფციული რისკები შემცირებულია

ინდიკატორი: მოსახლეობისთვის სერვისების "ერთი ფანჯრის" პრინციპით მიწოდების მექანიზმი - სერვის ცენტრი - ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს.

სერვისების გაუმჯობესების მიზნით 2017 წლიდან ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტოსთან. აღნიშნულის შედეგად, ქალაქის მერიაში ინერგება მუნიციპალური მართვის ელექტრონული სისტემა, რაც თვითმმართველობას საშუალებას მისცემს უფრო მარტივი და ეფექტური გახადოს სერვისების გაცემა. დაგეგმილია ასევე მოქალაქეთა ორი სერვის-ცენტრის აშენება.

ინდიკატორი შეუსრულებლად უნდა იქნეს მიჩნეული, ვინაიდან სერვის-ცენტრი არ ჩამოყალიბებულა.

შედეგი 16.4. 50%-ით იკლო უკანონოდ ნაწარმოებ მშენებლობებზე ნებართვის გაცემამ და დარღვევის გამოვლენის მაჩვენებელმა.

ინდიკატორი: მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შემდგომი კონტროლის პროცედურა შემუშავებული და დამტკიცებულია

მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის დროს ნებართვის გამცემი ორგანოების მხრიდან არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის ინსტიტუციური მექანიზმის შემუშავებისა და მშენებლობის მაკონტროლებელი ორგანოების კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესების მიზნით თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დაამტკიცა მონიტორინგისა და შემდგომი კონტროლის ღონისძიებების დეტალური ინსტრუქცია;[25] გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩაატარა სამუშაო შეხვედრა.[26] აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მზაობა გამოთქვეს მსგავსი ტიპის მონიტორინგის განხორციელების სისტემის დანერგვასა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელებაზე. ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური ახორციელებს მონიტორინგს ქ. თბილისის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უკანონო მშენებლობების მინიმუმამდე დაყვანისა და დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსავლენად.

ინდიკატორი სრულადაა შესრულებული.

მუნიციპალიტეტების დონეზე ანტიკორუფციული აქტივობების განსაზღვრა ანტიკორუფციულ სამოქმედო გეგმაში ჩართვა 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალიწინებული აქტივობები ვერ ჩაითვლება მიზნის მიღწევის ეფექტურ მექანიზმებად, ვინაიდან საჭიროა მუნიციპალიტეტების მეტი ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. შესაბამისად, აუცილებელია მომავალში უფრო მჭიდრო კოორდინაცია მუნიციპალიტეტებთან მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.

[25] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 1 ნოემბრის 41.01.792 განკარგულება.

[26] სამუშაო შეხვედრაზე მოწვეული იქნენ საქართველოს ხუთი ქალაქის (ქუთაისი, გორი, რუსთავი, თელავი, ზუგდიდი) შიდა კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. სამუშაო შეხვედრაზე მითითებული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები გაეცნენ მშენებლობის ნებართვების გაცემის პროცესში უკანონო მშენებლობის მინიმუმამდე დაყვანისა და დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსავლენად თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავებულ, პრაქტიკაში დანერგილ მექანიზმებსა და მის შედეგებს.



რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, დროულად დასრულდეს სერვის-ცენტრების ასაშენებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, რათა დამატებით აღარ შეყოვნდეს პროცესი.

II. კორუფციის კრიმინალიზაცია, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა

შედეგი 1. კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა და იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მექანიზმების გაუმჯობესება

ინდიკატორი: პროკურორები გადამზადებული არიან კორუფციული დანაშაულების გამოძიების მეთოდიკაში; კორუფციული დანაშაულის გამოვლენისა და მისი პრევენციის მიზნით გამართულია საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები; პროკურორები გადამზადებული არიან იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მეთოდიკაში.

ამ მიმართულებით პროკურორების გადამზადება შეუფერხებლად ხორციელდება, მათ შორის იურიდიულ პირთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მეთოდიკასა და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქრთამის მიცემის/აღების საკითხებზე.

ამდენად, თანამშრომელთა კარიერული განვითარების ცენტრი პროკურატურაში გამართულად მუშაობს და მუდმივად მიმდინარეობს პროკურორების ტრენინგი.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

შედეგი 2. სამართალდამცავი უწყებების საქმიანობის კოორდინაცია კორუფციასთან ბრძოლის კუთხით; სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა; ერთგვაროვანი სისხლის სამართლის პოლიტიკის დანერგვა; კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინდიკატორი 1: პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობა კოორდინირებულია; ერთგვაროვანი პოლიტიკის დანერგვის მიზნით რეკომენდაციები შემუშავებულია.

კორუფციულ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებელი წინაპირობაა **ეფექტური უწყებათაშორისი კოორდინაცია**. ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გაიმართა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების წარმომადგენლები. შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

სამოქმედო გეგმის ინდიკატორის მიხედვით, **ერთგვაროვანი პოლიტიკის დანერგვის მიზნით რეკომენდაციები შემუშავებული უნდა იყოს**, რაც ნაწილობრივ განხორციელდა. კერძოდ, შემუშავებულია და მოქმედებს რეკომენდაციები ბრალდებულის მიმართ გამოსაყენებელი აღკვეთის ღონისძიების სახისა და საპროცესო შეთანხმებისას გამოსაყენებელი პირობების შესახებ. ასევე მომზადებულია, მაგრამ ჯერ არ მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებების შესახებ რეკომენდაციის პროექტი. აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებული შედეგი შეიძლება ნაწილობრივ მიღწეულად ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

ინდიკატორი 2: სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილია.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი ინდიკატორის თანახმად **სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს.** 2018 წელს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრა არ გამართულა. შედეგი მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

რაც შეეხება **კორუფციული დანაშაულის გამოვლენისა და მისი პრევენციის მიზნით გამართული საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს,** ამ ტიპის შეხვედრები საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ექვს თვეში ერთხელ ხორციელდება, ამიტომ შედეგი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

ინდიკატორი 3: სტატისტიკური ინფორმაციის წარმოება მიმდინარეობს და შესაბამისი ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე.

საქართველოს პროკურატურა ამ მიზნით **მუდმივად აწვდის მონაცემებს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს**, თავის ვებგვერდზე ათავსებს ინფორმაციას კონკრეტულ კორუფციულ დანაშაულზე გამოძიების მიმდინარეობის შესახებ. აგრეთვე საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, რომელიც წარდგინება საკონსულტაციო საბჭოს და თავსდება საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე, შეიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას კორუფციული დანაშაულების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე შედეგი შესაძლებელია მიღწეულად ჩაითვალოს.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

შედეგი 3. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს შესაძლებლობების გაზრდა, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, რაც ხელს შეუწყობს კორუფციული დანაშაულის ეფექტიან გამოვლენას

ინდიკატორი 1: გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი ინდიკატორია **სუს-ის გადამზადებული თანამშრომელთა რაოდენობა.** სხვადასხვა ტიპის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სუს-ის 100-ზე მეტმა თანამშრომელმა, დამაკმაყოფილებელია **საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობაც,** შესაბამისად, შედეგები მიღწეულად უნდა ჩაითვალოს. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს როლის გათვალისწინებით, მისასალმებელია უწყების გაძლიერების, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით გადადგმული ნაბიჯები ისევე, როგორც საზოგადოების მიმართ **ანგარიშვალდებულების** და **გამჭვირვალობის** უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

ინდიკატორი 2: მომზადებულ და ინიცირებულ შეთანხმებათა რაოდენობა.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი ინდიკატორია **სუს-ის მიერ მომზადებულ და ინიცირებულ საერთაშორისო შეთანხმებათა რაოდენობა.** უწყების მიერ აღნიშნულ ინდიკატორზე ინფორმაციის წარმოუდგენლობა შედეგის შეუსრულებლობაზე მიუთითებს.

ამდენად, *ინდიკატორი არ შესრულდა.*

შედეგი 4. სამართალდამცავ ორგანოებში ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები გაუმჯობესებულია

ინდიკატორი: სამართალდამცავ ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება ელექტრონული სისტემის გზით.

სამართალდამცავ ორგანოებს შორის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის ელექტრონული სისტემის გზით გაცვლის განვითარების მიზნით შექმნილი სპეციალურ დაშიფვრის პროგრამას ხელის კომპიუტერული სისტემებისთვის (მობილური, სმარტფონი, ტაბლეტი და ა.შ.), დაემატა აუდიო მასალის დაშიფრული სახით გადაცემის ფუნქცია, რომელიც გაშვებულია სატესტო რეჟიმში და ტესტირების დასრულების შემდეგ მზად იქნება გამოყენებისთვის.

ამდენად, *ინდიკატორი სრულად შესრულდა.*

შედეგი 5. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან

ინდიკატორი: საერთაშორისო ორგანიზაციების (GRECO, OECD, UNODC/UNCAC) რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული პოზიტიური შეფასებები.

სამოქმედო გეგმის კიდევ ერთი ინდიკატორია **საერთაშორისო ორგანიზაციების (GRECO, OECD, UNODC/UNCAC) რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებული პოზიტიური შეფასებები.** როგორც ანგარიშში უკვე იქნა აღნიშნული, ამ ორგანიზაციების ანგარიშები ჯერ მიღებული არ არის, ამიტომ შედეგი ამ ეტაპზე მიღწეულად ვერ ჩაითვლება.

ამდენად, *ინდიკატორი არ შესრულდა.*

შედეგი 6. კორუფციის ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობა გაძლიერებულია

ინდიკატორი: „ექსტრადაციის შესახებ" ევროპული კონვენციის მესამე დამატებითი ოქმი რატიფიცირებულია და მეოთხე ოქმის ხელმოწერილი და რატიფიცირებულია.

უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, **მესამე დამატებითი ოქმის რატიფიცირება განხორციელდა.** ამასთან, მესამე დამატებითი ოქმით რეგულირებული საკითხების თაობაზე შესაბამის **ადგილობრივ ნორმატიულ აქტებში ცვლილებები შესულია** და ექსტრადიციასთან დაკავშირებული პროცედურები ოქმის შესაბამისად ხორციელდება. რაც შეეხება **მეოთხე დამატებით ოქმს,** აღნიშნულ ოქმთან დაკავშირებით ამ ეტაპზე რაიმე სახის ცვლილებები შესაბამის ნორმატიულ აქტებში არ მომზადებულა.

ამდენად, *ინდიკატორი ნაწილობრივ შესრულდა.*

საერთო ჯამში, მეორე თავის ქვეშ გათვალისწინებული 9 შედეგის ინდიკატორიდან ორი ინდიკატორით შედეგის შეფასება ვერ ხერხდება და შესაბამისად, შედეგი მიღწეული არ არის, სამი ინდიკატორის მიხედვით შედეგი ნაწილობრივ მიღწეულია, ოთხი ინდიკატორის მიხედვით შედეგის მიღწევა სრულად მოხდა. შესაბამისად, მეორე თავით გათვალისწინებული **შედეგები შესაძლებელია ჩაითვალოს მეტწილად მიღწეულად.**



რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, უწყებებმა აქტიურად ითანამშრომლონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. კერძოდ:

- *„ექსტრადაციის შესახებ" ევროპული კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის რატიფიცირება;*
- *სუს-ის საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურება ორმხრივი შეთანხმებების დადების და სხვა საშუალებებით;*
- *უწყებების სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა.*

დანართი 1: რეკომენდაციები:

<u>პრიორიტეტი I. კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია</u>

1. ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ უნდა გააგრძელოს საერთაშორისო საინფორმაციო ბაზების მოძიება და მათზე საქართველოში არსებული ანტიკორუფციული ორგანოებისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განახლება.

2. ეფექტიანი პოლიტიკის წარმოების მიზნით მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვადებში შემუშავდეს კორუფციული რისკების შეფასების მეთოდოლოგია.

<u>პრიორიტეტი II. საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია</u>

1. მომდევნო წლებში მნიშვნელოვანია, საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს საჯარო სტრუქტურებში ცნობიერების ამაღლება არა მხოლოდ ანტიკორუფციულ, არამედ ასევე კეთილსინდისიერების სტანდარტებთან დაკავშირებით.

2. რეკომენდებულია, საჯარო სამსახურის ბიურომ ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით განახორციელოს საჯარო მოხელეთა დატრენინგება მუნიციპალიტეტების დონეზე.

<u>პრიორიტეტი III. ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში.</u>

1. ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის მთავრობისთვის წარდგენა;

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების კვალიფიკაციის ამაღლება და საკოორდინაციო მექანიზმის განვითარება.

<u>პრიორიტეტი IV. განათლება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით</u>

1. მნიშვნელოვანია, საბჭომ დაამტკიცოს ანტიკორუფციულ საკითხებზე საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და დაიგეგმოს სამომავლო ნაბიჯები მისი იმპლემენტაციის მიზნით.

2. მნიშვნელოვანია, სტატისტიკური ინფორმაციის, საერთაშორისო რეიტინგებისა და რეკომენდაციების, აგრეთვე ანტიკორუფციულ თემატიკაზე მომზადებული ხელმისაწვდომი კვლევების მომზადება და გამოქვეყნება.

<u>პრიორიტეტი V. კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში</u>

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, აუცილებელია, პასუხისმგებელი უწყების მიერ უზრუნველყოფილი იყოს განსახორციელებელი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად შესრულება, მათ შორის:

- *პროკურორთა დანიშვნის, დაწინაურების, რანგირების, როტაციის, მონიტორინგის, შეფასების და გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმების გადასინჯვა GRECO და OECD-ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციების მიხედვით, შესაბამისი ცვლილებების მიღება და პრაქტიკაში დანერგვა;*
- *საქმეთა განაწილების სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემის შექმნისა და ეფექტურად მუშაობის მიზნით GRECO და OECD-ACN მეოთხე რაუნდის რეკომენდაციების ანალიზი და მათ საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების მიღება და პრაქტიკაში დანერგვა.*

<u>პრიორიტეტი VI. კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში</u>

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, აუცილებელია, პასუხისმგებელი უწყების მიერ უზრუნველყოფილი იყოს განსახორციელებელი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად შესრულება, მათ შორის:

- *მოსამართლეთა დაწინაურების პროცესის რეგულირება ვაკანსიის ღიად გამოცხადების და ცხადი კრიტერიუმების მიხედვით;*
- *მოსამართლეთა დამატებითი ანაზღაურების (ბონუსების) საკითხების OECD-ACN რეკომენდაციის შესაბამისად გადაწყვეტა;*
- *სასამართლოების თავმჯდომარეთა ფუნქციებისა და უფლება/მოვალეობების OECD-ACN რეკომენდაციების მიხედვით გადასინჯვა;*
- *სასამართლოს თავმჯდომარეების დანიშვნის/არჩევის წესის გადახედვა;*
- *მოსამართლეთა ეთიკის ახალი კოდექსის შემუშავება და სახელმძღვანელოს მომზადება;*
- *სამოსამართლო ეთიკის საკითხებთან დაკავშირებით საკონსულტაციო მექანიზმის შექმნა;*
- *დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების გადასინჯვა;*

- *დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა;*
- *სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა;*
- *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა გადაწყვეტილების დასაბუთებულობის უზრუნველყოფა;*
- *იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის განახლება.*

<u>პრიორიტეტი VII. გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში</u>

(სახელმწიფო შესყიდვები)

1. გაგრძელდეს მუშაობა ელექტრონული (ციფრული) ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

2. რეკომენდებულია, შესყიდვების ეროვნულმა სააგენტომ დაიწყოს მუშაობა შესყიდვების პროცესში კეთილსინდისიერების პაქტების (Integrity Pact) გამოყენების კუთხით.

(საჯარო ფინანსები)

1. მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს მუშაობა კორუფციული რისკების შეფასების (ForensicAudit) მეთოდოლოგიის იმპლემენტაციაზე.

2. მხარჯავი დაწესებულებების ორგანიზაციული მართვის, მათ შორის, ანტიკორუფციული პოლიტიკის ეფექტიანობის პერიოდული შეფასების განხორციელება სტანდარტული სარეიტინგო კითხვარების გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანია, მხარჯავი დაწესებულებების შიდა კონტროლის სიძლიერისა და კეთილსინდისიერების კვლევის ჩატარება და შედეგების საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

4. მნიშვნელოვანია, აუდიტის მართვის სისტემის ონლაინ მოდულში აუდიტების 100%-ის განხორციელება.

<u>პრიორიტეტი VIII. კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში</u>

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად აუცილებელია პასუხისმგებელი უწყების მიერ უზრუნველყოფილი იყოს განსახორციელებელი ღონისძიებების დროულად და ადეკვატურად შესრულება, მათ შორის:

- *მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა;*
- *ხარისხის კონტროლის ახალი მექანიზმების შემუშავება;*
- *საგადასახადო ორგანოების მუშაობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების გადახედვა და საჭიროებისამებრ დახვეწა;*
- *ელექტრონული მომსახურებით მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდის ხელშეწყობა;*
- *საგადასახადო სისტემაში დასაქმებული მოხელეებისათვის ანტიკორუფციულ საკითხებში ტრენინგების უზრუნველყოფა.*

<u>პრიორიტეტი IX. კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით</u>

1. მნიშვნელოვანია, დაიგეგმოს და განხორციელდეს სისტემატური ტრენინგები საჯარო მოხელეებისა და ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებისთვის ბიზნესის კეთილსინდისიერების კუთხით.

2. მნიშვნელოვანია, შემუშვდეს ბიზნესის კეთილსინდისიერების გაიდლაინები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისთვის. ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიზნესის კეთილსინდისიერების სტანდარტების კუთხით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.

3. მნიშვნელოვანია, კონკურენციის სააგენტომ უზრუნველყოს კონკურენციის სამართლის საკითხებზე სისტემატური ტრენინგებისა და საჭიროების მიხედვით სასწავლო ვიზიტების ორგანიზება თანამშრომლებისათვის.

4. მნიშვნელოვანია, ევროკავშირის კონკურენციის სამართლის საკითხებზე არსებული გადაწყვეტილებების (ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებების) თარგმნა და ეკონომიკური აგენტებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. ასევე გადაწყვეტილებებში გამოყენებული ინტერპრეტაციის სტანდარტების კანონზომიერი გამოყენება ბაზრის მოკვლევის პროცესში.

5. მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში მოხდეს ეთიკის სტანდარტების შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე ჩამოყალიბდეს სანქციების სისტემა ეთიკის სტანდარტების დარღვევისთვის.

6. მნიშვნელოვანია, არსებობდეს ეთიკის სტანდარტების შემუშავების კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი და ამას არ უნდა ჰქონდეს მხოლოდ რეკომენდაციის სახე.

7. მნიშვნელოვანია, ბიზნესომბუდსმენის აპარატმა უზრუნველყოს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების ინფორმირება ბიზნესომბუდსმენის მისიასა და ბიზნესისთვის ომბუდსმენთან დაკავშირების მექანიზმების შესახებ. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შეხვედრებზე მცირე და საშუალო ბიზნესთან.

8. მნიშვნელოვანია, დასრულდეს მუშაობა ბიზნესომბუდსმენის აპარატის ელექტრონულ პორტალზე და მოხდეს მისი გაშვება ონლაინ რეჟიმში, იმისათვის რომ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს ჰქონდეთ ომბუდსმენთან ეფექტური დაკავშირების მექანიზმი.

<u>პრიორიტეტი X. კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში</u>

რეკომენდებულია, საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სელექციური კონტრაქტირების მექანიზმების დანერგვა გაგრძელდეს საქართველოს მასშტაბით გეგმით გათვალისწინებული ყველა მიმართულებით, მათ შორის, მშობიარობა და საკეისრო კვეთა.

<u>პრიორიტეტი XI. პოლიტიკური კორუფციის პრევენცია</u>

საარჩევნო კოდექსისა და მოქალაქეთა გაერთიანების შესახებ კანონის ცვლილებები დასამტკიცებლად წარედგინოს მთავრობას.

<u>პრიორიტეტი XII. კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში</u>

1. მნიშვნელოვანია, თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემისა და ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის პრაქტიკაში დანერგვა.

2. მნიშვნელოვანია, თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს შესყიდვების კანონპროექტი.

3. მნიშვნელოვანია, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას გადაუდებელი და საიდუმლო შესყიდვების მაჩვენებელის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

<u>პრიორიტეტი XIII. კორუფციის პრევენცია მარეგულირებელ ორგანოებში</u>

რეკომენდებულია, დროულად დასრულდეს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ინსტიტუტის თანამშრომელთა დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ ცვლილებებზე მუშაობა.

<u>პრიორიტეტი XIV. კორუფციის პრევენცია სპორტის სფეროში</u>

1. მნიშვნელოვანია, შეფასდეს სტატისტიკა მანიპულაციებისა და გარიგებული თამაშების რაოდენობის ცვლილებასთან დაკავშირებით.

2. მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს მუშობა ევროპის საბჭოს კონვენციის სპორტში მანიპულაციებთან დაკავშირებით რატიფიკაციის მიმართულებით.

3. მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს მუშაობა საქართველოს სპორტში კეთილსინდისიერების შესახებ საერთაშორისო პარტნიორობაში გაწევრიანების კუთხით.

<u>პრიორიტეტი XV. კორუფციის პრევენცია ინფრასტრუქტურულ პროექტებში</u>

მნიშვნელოვანია, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში უზრუნველყოფილი იყოს სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ საინფორმაციო ბაზის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

<u>პრიორიტეტი XVI. კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტებში</u>

რეკომენდებულია, დროულად დასრულდეს სერვის-ცენტრების ასაშენებლად საჭირო დოკუმენტაციის მომზადება, რათა დამატებით აღარ შეყოვნდეს პროცესი.

<u>II. კორუფციის კრიმინალიზაცია, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა</u>

მნიშვნელოვანია, უწყებებმა აქტიურად ითანამშრომლონ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად. კერძოდ:

- *„ექსტრადაციის შესახებ" ევროპული კონვენციის მეოთხე დამატებითი ოქმის რატიფიცირება;*
- *სუს-ის საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურება ორმხრივი შეთანხმებების დადების და სხვა საშუალებებით;*
- *უწყებების სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა.*